# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 12 ივლისი 2003 №128 (1899) — ფასი 50 თეთრი


# ივო შუშაკმა თეთრი ბრაზილიელი აირჩია

## დინამო – ტირანა იმედით სავსე ცარიელ სტადიონზე

დღეს გერმანულ შეკრებაზე მყოფი „დინამო“ თბილისში ბრუნდება, ოთხი დღის მერე კი, 16 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უმაყურებლო „ეროვნულზე“ ალბანეთის ჩემპიონ „ტირანას“ უმასპინძლებს.

საკითხავი ისაა: არის თუ არა „დინამო“ მზად. თუმცა აქ მეორე კითხვაც შეგვიძლია დავამატოთ: რისთვის არის დინამო მზად? იმის თქმა გვსურს, რომ მხოლოდ „ტირანას“ დამარცხება ჩვენს ჩემპიონს ბევრს ვერაფერს შესძენს და გულშემატკივარი მისგან, სულ მცირე, ლიგის ორი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევასა და უეფას თასზე გადაბარგებას მოითხოვს. მაქსიმუმი კი, მოგეხსენებათ, რაცაა.



თუმცა წინდაწინ ლაპარაკი ეგებ არც იყოს სწორი და ჯერ „ტირანასთან“ მატჩზე ვთქვათ. სათქმელი კი ის არის, რომ გუნდი, მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც, მოსაგებად არიან დაგეშილები და გერმანული შეკრების სარგებლიანობაზე ერთხმად ლაპარაკობენ.

„დინამო“ ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე შარშან იყოო, ამბობენ და გაძლიერების კონკრეტულ მაჩვენებელსაც გვიმხელენ: 30 პროცენტით. ფეხბურთში მათემატიკურ სიდიდეებს ნაკლები გასავალი აქვს, მაგრამ მაინც ვთქვათ: „დინამო“ შარშან ამ 30 პროცენტით უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩეხურ „ლიბერეცს“ ალბათ დაამარცხებდა.

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ სწორედ „ლიბერეცთან“ მატჩისას გულშემატკივართა უსაქციელობის გამო ბრძანა უეფამ „ეროვნულის“ ჭიშკრების ჩაკეტვა.

მოკლედ, „დინამო“ თბილისში დღეს ბრუნდება, გაძლიერებული და ფეხბურთელშემატებული. გერმანიაში გასასინჯად ჩასულ უცხოელთაგან ივო შუშაკმა გუნდში მხოლოდ ერთი, ბრაზილიელი რაფაელ ლუის ტესერი დატოვა. დიდი პოტენციალი აქვსო, თქვა მასზე მწვრთნელმა და თუ ამაში თავად გინდათ დარწმუნება და საერთოდაც, „დინამოს“ სატირანო მზადების ნახვა გსურთ, ორშაბათს შუშაკი ღია ვარჯიშს ატარებს და შეგიძლიათ, მიბრძანდეთ. მით უფრო, რომ თავად მატჩზე დასწრების საშუალება არ გექნებათ.



# ზაზას მისია

## რასაც არ ამბობენ მწვრთნელები, ამბობენ ჟურნალისტები

ზაზა ფაჩულია იოლად გაშინაურდა ამერიკაში. ის უკვე თავის სტიქიაშია და იმაზე დაბოღმილს, დრაფტის პირველ წრეში როგორ ვერავინ შემამჩნიაო, ჯავრი მეტოქეებზე და ბურთზე გადააქვს. ზაზამ ზედიზედ მეორე სოლიდური თამაში ჩაატარა საზაფხულო ლიგაში, „მილუოკისთან“ 23 წუთში 15 ქულა და 9 მოხსნა გაახერხა და ცალკე მწვრთნელები გააკვირვა, ცალკე კალათბურთზე მწერლები.

ფლორიდულ გაზეთებში გაჩნდა წერილები ახალგაზრდა და ძალზე მონდომებულ „ჯორჯიანზე“. ცენტრალური ფლორიდის ყველაზე ავტორიტეტულ ყოველდღიურ გაზეთში „ორლანდო სენტინელში“ გამოქვეყნდა მომცრო წერილი, რომელშიც ქართველი ცენტრით სასიამოვნოდ გაკვირვებული „ორლანდო მეჯიქის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გამოზომილად აქებს დრაფტში 42-ე ნომრად არჩეულ ქართველს. თავად ზაზამ გვითხრა, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩემით მოწონება ეტყობათ ორლანდოელებსო. მთავარიც ხომ სიტყვები კი არა, საქმეა, რომლის კეთებასაც უკვე საფუძვლიანად შეუდგა ზაზა ფაჩულია.

# ტესერმა ტესტი ჩააბარა

## შუშაკს თეთრი ბრაზილიელი მოჰყავს



რაფაელ ლუის ტესერო

**თბილისის „დინამოს“** მწვრთნელმა ივო შუშაკმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა: ბრაზილიელი ტესერი გუნდში დარჩება და დღეს „დინამოსთან“ ერთად თბილისში ჩამოვა.

თეთრი ბრაზილიელი, რომლის სრული სახელია რაფაელ ლუის ტესერი, გერმანულ შეკრებაზე გასასინჯად მყოფთაგან გუნდს სულ ბოლოს შეუერთდა. მან „დინამოში“ ორი კვირა ივარჯიშა, რამდენიმე საწვრთნელი მატჩი ითამაშა და მწვრთნელს თავი მოაწონა. შუშაკი საბოლოო სიტყვის თქმას არ ჩქარობდა, კარგად აკვირდებოდა ტესერს და მის შესაძლებლობებში რომ დარწმუნდა, გუშინ გუნდის ხელმძღვანელობას ამ ფეხბურთელთან საქმის მოგვარება სთხოვა. გუშინვე თბილისში დარჩენილმა „დინამოს“ ადმინისტრატორმა გია იმნაძემ ტესერისთვის ვიზის მოსაგვარებლად ფეხბურთელის პასპორტის ასლი მიიღო.

ტესერს ახალ გუნდთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც თავად ფეხბურთელიც და „დინამოც“ ამას უკვე ფორმალობად თვლიან. ყველა საკონტრაქტო დეტალი შეთანხმებული ყოფილა.

— რუიტში გასასინჯად ჩამოსული ყველა უცხოელი კარგი ფეხბურთელი იყო, განსაკუთრებით სლოვაკი კოვაჩი მომეწონა, მაგრამ ტესერის გარდა ვერც ერთ უცხოელში ვერ დავინახე იმის პოტენცია, გუნდის გაძლიერება რომ შეეძლო — თქვა გუშინ „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა — ტესერი გონიერი და ფიზიკურად კარგად მომზადებული ფეხბურთელია, ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ჩემს ტაქტიკურ მონახაზს მოერგო.

ტესერი ამპლუით ნახევარმცველია, ძირითადად შუაში, საყრდენის პოზიციაზე თამაშობს, თუმც მისთვის უცხო არც მარჯვენა ფლანგია. 22 წლისაა და „დინამოში“ გადასვლამდე ბრაზილიური „კურიტიბას“ ფეხბურთელი იყო.

**კობა ინასარიძე**

# აჩიკო

## ბრძოლა არმინიასთან და საკუთარ თავთან

**არჩილ არველაძეს** გუშინ კონტრაქტზე უნდა მოეწერა ხელი ბილეფელდის „არმინიასთან“, მაგრამ საქმე გართულდა და ვინძლო გარიგება რა შედგეს.

მოსალოდნელი ხელშეკრულების გასაფორმებლად გერმანიაში საგანგებოდ ჩავიდა არველაძის აგენტი ივან ბენეში. მოლაპარაკებისას გაირკვა, „არმინია“ ისეთი მოკრძალებული გაქანების კლუბია, რომ სოლიდურ ჯამაგირს ვერ გამოვა. ამის გამო წინასწარ დათქმული ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ერთწლიანზე დაიწყო საუბარი, მაგრამ აჩიკო ხელმოწერისგან თავს იკავებს.

როგორც თავად არველაძემ გვითხრა, „არმინიას“ მწვრთნელი ბენო მიოლმანი მას ძალიან თბილად ეპყრობა — აჩიკომ სამ საკონტროლო მატჩში თითო-თითო ტაიმი ითამაშა და ბილეფელდელთაგან ყველაზე მეტი, ექვსი გოლი გაიტანა.

— თუ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ და „არმინიადან“ წამოვალ, ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებ. რა თქმა უნდა, შემიძლია სხვა გუნდში გადავიდე, მაგრამ „არმინიაზე“ დაბალი რანგისაში ნამდვილად არ წავალ — გვითხრა აჩიკომ, რომელსაც ხუთი ოპერაცია აქვს გადატანილი, თუმც ჯერ არასდროს დანებებულა.

**დავით თავართქილაძე**



# მეტალურგში სამნი ვართ. მესამე გველესიანია

**თითქმის** ორკვირიანი დაკვირვებისა შემდეგ დონეცკის „მეტალურგის“ მწვრთნელმა ალექსანდრ სევიდოვმა გადაწყვიტა, ქართველი ნახევარმცველი ოლეგ გველესიანი ჩვენს გუნდს გააძლიერებსო.

სევიდოვის მზირებმა ჩვენებური ინტერტოტოს თასზე „ვიტ ჯორჯია“ — „პაშინგის“ პირველი მატჩისას მოიწონეს.

გველესიანმა დონეცკურ გუნდში რამდენიმე საკონტროლო მატჩი ითამაშა და სევიდოვმაც მხოლოდ ამის მერე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.

გუშინ ოლეგმა „მეტალურგის“ თავკაცების თანდასწრებით სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მას 25-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ დონეცკის „მეტალურგი“, ჩვენებური „ვიტ ჯორჯიას“ დარად, იქაური ჩემპიონატის ბრინჯაოსანია და იქ უკვე ორი ქართველი თამაშობს — გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე.

**მამუკა ძვანტალიანი**

# აკუნა სახლშია



**წუხელ** „ფრაიბურგი“ შინ დაბრუნდა — ფოლკერ ფინკეს გუნდი გერმანიის კუნძულ ლაუნგეუტზე გახლდათ შეკრებაზე. დანარჩენი ფრაიბურგული ამბები კი ალექსანდრე იაშვილს გამოვკითხეთ.

— ლაუნგეუტზე ძირითადად ფიზიკურად მოვემზადეთ და მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ იქაურ მოყვარულებთან. ხვალიდან კი უკვე სერიოზულ გუნდებს გავეჯიბრებით — ჯერ „ბრიუგე“ გველის, მერე „ნიცა“, შემდეგ გერმანული გუნდები.

— „ფრაიბურგი“ დამდეგი სეზონისთვის 5-6 ფეხბურთელს დაიმატებს. უკვე ჩვენთანაა „ტვენტედან“ წამოსული ფორვარდი კაირუ, ყოფილი ჰამბურგელი ნახევარმცველი ანტარი და ოთხი ახალგაზრდა ფეხბურთელი — ერთი „ლუბეკიდან“, ორი „ფრაიბურგის“ მეორე გუნდიდან და ერთიც შვეიცარიიდან — ისინი ისეთი ნიჭიერები არიან, ახლავე შეუძლიათ „ფრაიბურგის“ ფეხბურთელებთან კონკურენცია.

— რაც შეეხება ჩვენს მიზანს დამდეგ ბუნდესლიგაში, მთავარია, იქ ადგილი შევინარჩუნოთ, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

# მე ვარ 6, მაშასადამე, ვიტალი დარასელია

## 30 პროცენტი, ჩვენი თამაში და კუთხურები

*დღეს თბილისის „დინამო“ გერმანიიდან, დაბა რუიტიდან შინ დაბრუნდება. დინამოელები სეზონს მალევე იწყებენ – 16 ივლისს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე ალბანურ „ტირანას“ უმასპინძლებენ.*

*ივო შუშაკისთვის ეს მეორე ევროპული ცდაა „დინამოში“ – შარშან შუშაკელებმა უეფას თასზე ერთი ეტაპი გადალახეს, ახლა კი ივოს და „დინამოს“ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ – გუნდს ხომ ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრის შანსი აქვს და უფრო მოლოდინიერებულიცაა.*

*გუშინ კი გერმანიაში „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვან ფეხბურთელს, 24 წლის ვიტალი დარასელიას გავესაუბრეთ და პირველ რიგში ჯანმრთელობაზე დავეკითხეთ*



— „შტუტგარტის“ ექიმების მითითებით ორი ნემსის გაკეთება მომიწია — მუხლის გვერდითი მყესების კაფსულა მაქვს დაზიანებული და წესით, ყველაფერი მალე კარგად უნდა იყოს — „ტირანასთან“ ალბათ ვითამაშებ კიდეც.

**— მოსამზადებელი ეტაპი ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური გამოგივიდათ — როგორ ფიქრობ, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ეს გუნდისთვის?**

— რუიტში მოსამზადებელი პერიოდი ძნელი იყო, რადგან საკმაოდ დიდი დატვირთვები გვქონდა. მზადყოფნით მეც და მთლიანად გუნდიც კმაყოფილები ვართ. სეზონის დამთავრების მერე მცირე შესვენება გვქონდა და ფორმის აღდგენა გვჭირდებოდა, ამიტომაც, მთავარი აქცენტი რუიტში ფიზმომზადებაზე იყო გადატანილი.

**— შუშაკმა „სარბიელთან“ ამასწინდელ ინტერვიუში თქვა, „დინამოს“ ნახევარდაცვის ცენტრში ცვლილებებია მოსალოდნელიო. ვიტალი დარასელია როგორ ჩაჯდა ამ ცვლილებებში?**

— საკონტროლო მატჩები საყრდენ ნახევარმცველად ვითამაშე.

**— მერე არ გაგიჭირდა? მანამდე უმეტესწილად შეტევით იყავი დაკავებული.**

— ეგრე კი იყო, მაგრამ საყრდენად თამაში არ გამჭირვებია, ალბათ, კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით. თანაც, ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთელს ყველა პოზიციაზე უნდა შეეძლოს თამაში. საყრდენებად მე და ალეკო გოგობერიშვილი ვიყავით, ჩვენს წინ კი გიორგი ანჩაბაძე.

**— შარშანდელ ევროტურნირზე ესტონურ ტვმკ-ს კი გადაურბინეთ, მაგრამ „ლიბერეცთან“ ბრძოლის გარდა ვერაფერს გახდით. შარშანდელთან შედარებით „დინამო“ რარიგ გაძლიერდა?**

— ჩემი აზრით, „დინამო“ უფრო ძლიერი გახდა ფიზიკურად და ტაქტიკურად. საერთო ჯამში „დინამომ“, ვფიქრობ, 30 პროცენტით მოუმატა თამაშს, უფრო გამართულად და სწრაფად ვმოქმედებთ. ყველაფერი ეს „ტირანასთან“ მატჩებში უნდა გამოჩნდეს.

**— მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ ერთ ოფიციალურ მატჩსაც ვერ ასწრებთ, ისე გიწევთ „ტირანასთან“ შებმა — ეს საქმეს ძალიან გირთულებთ?**

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, „ტირანამდე“ რამდენიმე ოფიციალური მატჩი მოგვესწრო, მაგრამ გერმანიაში ყოფნისას საკმაო სათამაშო პრაქტიკა მივიღეთ, ხოლო „მიუნხენ 1860“-თან არცთუ ამხანაგური თუ საკონტროლო მატჩი გვქონდა. „ტირანასთან“ მთავარი ის იქნება, რომ ჩვენი თამაში ვითამაშოთ, თუ ეს გამოგვივიდა, ალბანელებს გადავურბენთ.

**— და რა არის „ჩვენი თამაში“ დინამოსთვის?**

— სისწრაფე და სწრაფი აზროვნება.

**— ბევრი მიიჩნევს და ალბათ ასეც არის — პირველი ეტაპისთვის განთესილ გუნდთაგან „დინამოს“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და უხერხული მეტოქე შეხვდა „ტირანას“ სახით.**

— მეც მაგ აზრისა ვარ. „ტირანამ“ ამას წინათ სტუმრად „ფერენცვაროშს“ 2:1 რომ მოუგო, ამის ერთერთი დასტურია. „ტირანა“ ურიგო გუნდი მართლაც არ უნდა იყოს. ისიც ფაქტია, რომ ალბანურ ფეხბურთში წინსვლაა.

**— ეს ალბათ ირლანდია — ალბანეთის მატჩმაც გვიჩვენა. რამდენიმე დღის მერე კი ირლანდია — საქართველოს შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშე — რას იტყოდი იმ მატჩზე?**

— მე რომ მინდორზე გაველი, უკვე 0:2 ვაგებდით და ძალიან ძნელი იყო ჩემი მხრიდან რამის შეცვლა.

**— „დინამოს“ დავუბრუნდეთ, სადაც კუთხურების ჩამხვევის სპეციალისტად ითვლები. ამაზე ამ გერმანულ შეკრებაზეც საგანგებოდ ვარჯიშობდი?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ შეხვედრაში გოლი კუთხურიდან ვერ გავიტანე — რამდენჯერმე ძელს მოვარტყი ბურთი. ერთი სიტყვით, კუთხურიდან გატანა არ წამივიდა, მაგრამ არა უშავს — „ტირანასთან“ უეჭველად წამივა.

**— „ტირანასთან“ თბილისში ცარიელი ტრიბუნების წინ გიწევთ თამაში...**

— გულშემატკივართა მხარდაჭერის გარეშე საქმე გვირთულდება, მაგრამ ორი დღით ადრე, 14 ივლისს ღია ვარჯიში გვაქვს და კარგი იქნება, თუ გულშემატკივრები მრავლად მოვლენ. ვფიქრობ, ვისაც ფეხბურთი უყვარს, მოვა და გაგვამხნევებს.

**— წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის „დინამოში“ 6-ნომრიანი მაისურა მოითხოვე და აილე კიდეც...**

— რადგან ვიტალი დარასელია ვარ, ალბათ სწორედ ამიტომაც ავირჩიე მე-6 ნომერი „დინამოში“.

**— მერედა, ყოველივე ეს ტვირთად არ გაწევს?**

— პირიქით, უფრო მამხნევებს.

**დავით თავართქილაძე**

# ლოკომოტივი მოსკოვიდანაც დაიძოძა

## რკინიგზა ნანას ინანიებს და დინამოს ადგილს იკავებს



დავით ქოქიაშვილი

**დღეს** თბილისის „ლოკომოტივი“ გერმანიას მიემგზავრება — რკინიგზელები იქ დაბინავდებიან, საიდანაც დღესვე დინამოელები აიბარგებიან — დაბა რუიტში.

ლოკომოტიველთა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ გერმანული შეკრებისთვის ეს ფეხბურთელები შეარჩია:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია, სოსო გრიშიკაშვილი;* ***მცველები:*** *ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე, როინ ონიანი, გიორგი ონიანი, ირაკლი ვაშაკიძე, აკაკი ხუბუტია, რევაზ ქემოკლიძე, თენგიზ უგრეხელიძე;* ***ნახევარმცველები:*** *დავით სირაძე, თეიმურაზ ბურნაძე, ზაზა ზამთარაძე, დავით ქოქიაშვილი, მიხეილ სოსელია, ირაკლი სანიკიძე, რომან გოგინაშვილი, ლევან შავგულიძე;* ***თავდამსხმელები:*** *ვლადიმერ კობახიძე, გიორგი ქორიძე, ლევან ხომერიკი.*

რკინიგზელთა გუნდს გერმანიაში შეუერთდება ნიგერიელი ფორვარდი ნანა ემუანი, რომელიც მე-14 ეროვნულის მეორე ეტაპისთვის ჩაირიცხა „ლოკომოტივში“, მერე კი შერისხულთა ცნობილ სიაშიც მოჰყვა.

რუიტში წამსვლელთა შორისაა მოსკოვის „სპარტაკის“ და ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დავით ქოქიაშვილი — ის რკინიგზელებმა ერთწლიანი იჯარით აიყვანეს. გადაწყდა ისიც, რომ ლევან ხომერიკიც ერთი სეზონით გახდება ლოკომოტიველი.

რევაზ არველაძის თქმით, მოსამზადებელი ეტაპი ნორმალურად მიდის, ფეხბურთელები მონდომებულები არიან და არც ტრავმიანობაა, ხოლო სასელექციო-სატრანსფერო საქმიანობა „ლოკომოტივში“ კვლავაც გაგრძელდება. მოსალოდნელია პოლონური „რუხიდან“ ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის ლაშა რეხვიაშვილის გადმოყვანა.

„ლოკომოტივი“ რუიტში ათ დღეს დაჰყოფს და სამ საკონტროლო მატჩს ითამაშებს. ორი სავარაუდო სპარინგ-პარტნიორის ვინაობა ცნობილია — „როიტლინგენი“ და „შტუტგარტ კიკერსი“.

**დავით თაგართქილაძე**



*საქართველოს ეროვნული გუნდისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარეს გიორგი ლომაიას მაისის ბოლოდან მრავალჯერ უცხოურ კლუბებში მოწყობას ჰპირდებოდნენ. ინგლისური, გერმანული, უკრაინული და რუსული ვარიანტებით და ერთ-ერთ ამ ქვეყანაში გადასვლის პერსპექტივით და დაპირებებით გაბრუებულ მეკარეს გუნდები თითქოს ასარჩევად ჰქონდა.*

*აქეთ ჩემპიონთა ლიგაზე მეოცნებე „დინამომ“ თანაგუნდელ სირაძესთან ერთად მოინადინა მისი გადაბირება. ორ ქართულ კლუბს შორის მოლაპარაკებებიც კი დაიწყო.*

*მერე კი არც უცხოურ და მით უფრო ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ლომაია არსად გამოჩენილა. გიორგის კიევურმა ვოიაჟმა და „დინამოს“ პრეზიდენტ სურკისთან დალაპარაკებამაც ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ლომაია დღეს „ლოკომოტივთან“ ერთად გერმანულ შეკრებაზე მიემგზავრება. გუშინ საღამოხანს კი „სარბიელის“ შეკითხვებს უპასუხა*

# ლომაიას დიდ ავიაციას ჰპირდებიან, ჰპირდებიან...

## ის კი ისევ რკინიგზელია

— გუშინდლამდე უკრაინელების ზარს ველოდი. რახან არავინ დამიკავშირდა, გადავწყვიტე, გუნდს გერმანიაში გავყვე, შეკრებას მაინც გავივლი, ფორმაში შევალ და თუ შემეხმიანებიან, მომზადებული შევხვდები მსურველებს.

**— კიდევ გაქვს იმედი, რომ კიევიდან დაგირეკავენ?**

— უკრაინიდან საქართველოში რომ ვბრუნდებოდი, სურკისმა მითხრა, თუ ჩვენ არ შეგეხმიანეთ, შეკრება „ლოკომოტივთან“ გაიარე, სატრანსფერო სეზონი აგვისტოს შუა რიცხვებში იხურება და ჩვენი შეხვედრა მერეც მოესწრებაო.

**— როგორ ფიქრობ, კიევის „დინამოში“ გადასვლის შანსი დარჩა?**

— დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი ბედ-იღბალი ერთი კვირით ადრე გადაწყდება თუ გვიან. მთავარია, ფორმაში ვიყო და ნებისმიერ წინადადებას მომზადებული შევხვდე. თითქმის გაკეთებული საქმე პირველად როდი ჩამეშალა. ამას უკვე შევეჩვიე და ერთი კვირის წინ კიევში გასამგზავრებელი ბილეთი უკან რომ დავაბრუნე, ძალიანაც არ მინერვიულია. ჯერ ახალგაზრდა ვარ, ვიცი, კიდევ არაერთი შანსი მომეცემა, გულგატეხილობა და ხელის ჩაქნევა ვერაფერს მიშველის. ამიტომ ახლა მხოლოდ გერმანულ შეკრებაზე ვფიქრობ.

**— კიევის „დინამოს“ თავი დავანებოთ, უკვე რამდენიმე თვეა, ლომაიას ინგლისურ შანსებზე ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კონკრეტული წინადადებით შენთვის არავის მოუმართავს?**

— რა გითხრათ, ინგლისურმა ვარიანტმა, რომელიც, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, თითქოს რამდენიმე მქონდა, ჩემამდე ვერ მოაღწია. ჯერ იყო და, „ლოკომოტივის“ მატჩებს უნდა დასწრებოდნენ, მერე ვითომ ნაკრების საშინაო თამაშებში დაგაკვირდებიანო, ბოლოს კი დუბლინში, ირლანდიასთან გნახავენ, რა ბიჭიც ხარო. არც ერთ შემთხვევაში ჩემთან არავინ მოსულა.

**— შეგეძლო, არავისთვის ყური არ დაგეგდო, შენს გადაბირებას „დინამო“ ცდილობდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში სამომავლოდ იქნებ რამეში გამოგდგომოდა.**

— „დინამოს“ დაინტერესება მართლაც რეალური იყო. ჯერ იჯარის წესით განათხოვრებაზე ლაპარაკობდნენ, მერე სულაც გამოსყიდვაზე. კიევში რომ გავემგზავრე, ალბათ, იფიქრეს, ლომაია ხელიდან გავუშვითო და შეკრებაზეც წავიდნენ. უკრაინიდან დაბრუნებული ისევ გამიხსენეს და თითქოს „დინამოს“ გერმანიაში უნდა ვწვეოდი, მაგრამ ცალკე მე არ ვინდომე წასვლა და არც „ლოკომოტივს“ ეხატებოდა გულზე, თავისი მოთამაშეები კონკურენტისთვის დაეთმო.

**— „დინამოში“ გადასვლა შენ რატომ იუარე?**

— ეს რომ თავიდანვე მომხდარიყო, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. მერე გუნდი გერმანიაში წავიდა. თან თავისი მეკარეები იახლა. არ იქნებოდა ლამაზი, შუა შეკრებისას თავზე დავდგომოდი, მოვდივარ და გზა მომეცით-მეთქი. იმ ბიჭებმა ოფლი ღვარეს, მეგობრები ვართ და ასეც რომ არ იყოს, „დინამოსა“ და ამჟამინდელ „ლოკომოტივს“ შორის დიდი განსხვავება არც არის.

**— „დინამოში“ ჩემს გადასვლას მაინცდამაინც არც „ლოკომოტივი“ შეჰხაროდაო, თქვი. იქნებ სხვა ვარიანტებიც კლუბის მესვეურთა მიზეზით ჩაიშალა?**

— თავად განსაჯეთ, რკინიგზელებთან კონტრაქტი 1 აგვისტოს მიმთავრდება. პირველ რიგში სწორედ ისინი არიან დაინტერესებულნი, რაც შეიძლება მალე გამასხვისონ და მოგება ნახონ, თორემ ხელშეკრულების ვადა რომ ამოიწურება, ჩემში იმის ნახევარსაც ვერ მიიღებენ, რაც რეალურად შეუძლიათ მიიღონ.

მე ველაპარაკე კლუბის თავკაცებს და ახალ მწვრთნელსაც, მათ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, აკაკი ჩხაიძემ და რევაზ არველაძემ გზაც კი დამილოცეს, მაგრამ ჩემი საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც მე და მათ გვსურდა.

**— სერიოზული მენეჯერი რომ გყოლოდა, აქაური კი არა, ვინმე გამოცდილი უცხოელი, ეშველებოდა ლომაიას ტრანსფერს?**

— რა ვიცი, ალბათ გამოცდილი და მარიფათიანი მენეჯერი მართლაც რაღაცას მომიხერხებდა, თუმცა ასეთიც იყო, მაგრამ... როგორც ვიცი, ინგლისურ ვარიანტებზე გერმანელი ჰოფმანი მუშაობდა. ეს ის კაცია, ვინც დიტერ ჰამანი „ლივერპულში“ მოაწყო და, ბალაკსაც რომ პატრონობს. ჰოფმანს, ალბათ, ჩემნაირი კლიენტები არ აკლია. მე კი ისევ რკინიგზელი ვარ.

**— გერმანული შეკრების შემდეგ რა გზას ეწევი?**

— თუ რამე ვარიანტი გამოჩნდა, ხომ წავალ, არადა, ზამთრის სატრანსფერო სეზონამდე „ლოკომოტივში“ ვითამაშებ და მერე კიდევ ერთხელ ვცდი ბედს.

**— გერმანიაში „ლოკომოტივს“ რამდენი მეკარე მიჰყავს?**

— სულ ორი ვიქნებით, მე და სოსო გრიშიკაშვილი.

**— კი მაგრამ, თქვენთან ხომ სერგო ჭურაძეც ვარჯიშობდა?**

— სერგომ გუშინწინ ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და ერთხანს იძულებით დაისვენებს. საწყენი ამბავია, ჭურაძე ნამდვილად კარგ ფორმაში იყო.

**მამუკა ძვანტალიანი**



# აწი ნახეთ ბახვა

## მენთეშაშვილს ოსების და ფიფას გადაკიდება არ უნდა

**ვლადიკავკაზის** „სპარტაკ-ალანიასთვის“ რუსული პრემიერლიგის წრეებს შორის შესვენება ძალიან ნერვიული გამოდგა. ორკვირიან შუალედში ოსებმა საფუძვლიანი ცვლილებები განახორციელეს. კლუბს პრეზიდენტი შეეცვალა. სერგეი ტაკოევი „სპარტაკ-ალანიას“ პატრონობას დათანხმდა და მყისვე გუნდს ძველი ახალი მწვრთნელი, ბახვა თედეევი დაუბრუნა რომელიც ადრეც წვრთნიდა ალანებს. ყველაზე დიდ პრობლემებს კი ოსები სატრანსფერო ბაზარზე წააწყდნენ. ჯერ იყო და, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ვალების გამო ფეხბურთელების შეძენა აუკრძალა, ამას კი მთლად უარესი დაემატა — კლუბი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, მათ შორის ქართველებმა, მიხეილ აშვეთიამ და ზურაბ მენთეშაშვილმა. აშვეთიას ამბავი გეცოდინებათ, ის უკვე მოსკოვის „ლოკომოტივის“ წევრია. დანარჩენების შენარჩუნება კი ტაკოევმა საკუთარ თავზე აიღო და როგორც ჩანს, შეძლო კიდეც. ფაქტია, ვლადიკავკაზზე გულაცრუებული და ლატვიაში დაბრუნებული ყოფილი სკონტოელი ზურაბ მენთეშაშვილი რუსული პრემიერლიგის მეორე წრეშიც სპარტაკ-ალანიელი იქნება. ის უკვე დაუბრუნდა გუნდს და ბახვა თედეევის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ერთი სიტყვით, ტაკოევი მენთეშაშვილს მოურიგდა.



ზურაბ მენთეშაშვილი

**ბაჩა შალამბერიძე**

# ვინც ჩქარია, ჩემთან!
## ოლირი ვილასგან ლიდსს აკეთებს

„ასტონ ვილას" მწვრთნელი დეივიდ ოლირი მზადაა, გუნდის მოუსვენარ უცხოელებს კიდევ ერთი შანსი მისცეს. იგულისხმებიან თურქი მცველი ალფაი ოზალანი, კოლუმბიელი თავდამსხმელი ხუან პაბლო ანხელი, მისი ხორვატი მეწყვილე ბოშკო ბალაბანი და მაროკოელი ნახევარმცველი ჰასან კაჩლული, რომლებიც „ვილას" ყოფილმა თავკაცმა გრემ ტეილორმა გასულ სეზონში აითვალწუნა.

ტეილორი ოლირიმ 20 მაისს შეცვალა და ახალი მწვრთნელი, როგორც მოგახსენეთ, ჩამოთვლილ მოთამაშეებს ჯერ კიდევ შემოწმებას უპირებს.



ოლირი: რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი ყველაფერს ნოლიდან დაიწყებს, დანარჩენი კი მათზე იქნება დამოკიდებული. მომავალ სეზონში „ვილა" ისევე მინდა ვათამაშო, როგორც ადრე „ლიდს იუნაიტედს" ვათამაშებდი, ანუ ფეხბურთელები, რომლებიც სათამაშო სისტემას მოერგებიან, ბუნებრივია, დარჩებიან. სისტემის თავისებურება მაღალი ტემპი და თავდასხმის შთაგონება იქნება როგორც შინ, ასევე სტუმრად".

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „ვილა" საშინლად თამაშობდა და საბოლოოდ უსიამოვნო მე-16 ადგილი მიიღო.

„მე აქ ცხრილის ბოლოში სატრიალოდ არ ჩამოვსულვარ, ჩემი საქმე და მიზანი მწვერვალია. მინდა, გუნდი პრემიერლიგის ზედა ექვსეულს დავუბრუნო, თუმცა კარგად ვიცი, რომ ამის თქმა უფრო იოლია, ვიდრე გაკეთება. ცხრილი არ ტყუის, „ვილამ" გავარდნილ „ვესტ ჰემზე" სამი ქულით მეტი მოიპოვა და, მართალია, ჩემს ყოფილ „ლიდსს" ერთ-ერთი უცუდესი სეზონი ჰქონდა, მაინც „ვილაზე" ზემოთ დარჩა. ეს ნათლად გვაჩვენებს, თუ რა მოცულობის სამუშაოებია აქ ჩასატარებელი" — დასძინა ოლირიმ.

**პაატუნა ძედია**



# ლესტერი აილესა

ინგლისური სეზონის დაწყებამდე განსაკუთრებით პრემიერლიგაში ახალაღზევებულნი ფაციფუცობენ. „პორტსმუთი", „ვულვერჰემპტონი" და „ლესტერი" უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად მომძლავრებას ცდილობენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „ზევით" ფულიანი სპონსორის შოვნის მეტი შანსია და მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებისთვისაც შედარებით ბევრს უხდიან, ვიდრე ქვედა დივიზიონებში.

„პორტსმუთს", რომელმაც ტედი შერინგემი გადაიბირა, „ლესტერიც" არ ჩამორჩა და 36 წლის ლეს ფერდინანდს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

გლენ ჰოდლის ნაკრებმა თბილისში 2:0 რომ მოგვიგო, მაშინ გოლები სწორედ ფერდინანდმა და შერინგემმა გაიტანეს.

36 წლის ფორვარდმა კარიერა „ქუინზ პარკში" დაიწყო, მერე „ნიუკასლში" და „ტოტენჰემში" თამაშობდა, შარშან კი „ვესტ ჰემს" ეხმარებოდა, მაგრამ „ჩაქუჩები" გავარდნას ვერ გადაურჩნენ.

„ლესტერის" მწვრთნელი მიკი ადამსი ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის შეძენით კმაყოფილია: „მოხარული ვარ, რომ ლესი ჩვენს წინადადებას დათანხმდა. სეზონის დაწყების წინ მე მშვიდად ვარ, რადგან გუნდში პროფესიონალი მეგოლე მყავს."

„ლესტერმა" ლეს ფერდინანდის გარდა „კიევოდან" ფრანგი ნახევარმცველი ლილიან ნალისი გადაიყვანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ალო, ალიუ, შენ ხომ არ...

პრემიერლიგის დასრულებიდან თვეზე მეტი გავიდა. ფეხბურთელებმა შვებულებები მოილიეს. მაგრამ ზღვა, მზე და ქალები დასრულდა. გუნდებმა მომავალი სეზონისთვის შეკრება დაიწყეს. ზოგი დათქმულ დროზე შეუერთდა კლუბს, ზოგ მწვრთნელსაც კი სათვალავში მოთამაშე აკლია, მაგრამ იცის, რომ შეაგვიანდება და მშვიდადაა.

„ბირმინგემის" მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა არ იცოდა, სად დაეხეტებოდა მისი სენეგალელი ლეგიონერი ალიუ სისე. სისემ იცოდა, რომ ბირმინგემი კვლავ ინგლისში იყო, მაგრამ ჩასვლა 8 დღით დააგვიანა.

მწვრთნელს არ უთქვამს, არიქა, რახან ცოცხალი დაგვიბრუნდა, ჯანდაბას, ვაპატიოთო. სტივ ბრიუსმა გამოჰკითხა, აქამდე სად ბრძანდებოდიო. ალიუ სისე მიედ-მოედო, ორი მობილური ტელეფონი მქონდა, ჯერ ერთი დავკარგე, მერე მეორე და ამიტომაც ვერ შეგატყობინეთო. მწვრთნელმა დაუჯერა და ნაამბობის მეორე დღეს სავარჯიშოდ დაიბარა. სენეგალელმა ვარჯიშზე საათნახევარი დაიგვიანა და მწვრთნელსაც თვალები აემღვრა — გუნდიდან თავისუფალი ბრძანდებიო, უთხრა, თან ცოტა ხანში ნათქვა-



მი გასაყიდთა ნუსხაში სისეს ჩაწერით დაამტკიცა.

ალიუ სისე „ბირმინგემში" შარშანდელი მუნდიალის შემდეგ გადავიდა, ნახევარი სეზონი ითამაშა, იანვარში დაიმტვრა და გაზაფხული გაუცდა. ეტყობა, დასვენება გაუტკბა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრანკ დე ბური ცოლთან შევიდა და გალასთან გამოვიდა

გასულ სეზონში „ბეშიქთაშისგან" დაჩაგრული „გალათასარაი" ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას ცდილობდა და პირველი კონტრაქტიც გაჩარხა.

„გალას" პრეზიდენტი ევროპას მიაწყდა. ოზჰან ჯანაიდინმა მსტოვრები სხვადასხვა ქვეყნებში დააგზავნა, მაგრამ ძირითადად ორი ფეხბურთელი სურდა: სონი ანდერსონი და ფრანკ დე ბური. ბრაზილიელმა თურქეთი იუარა, ესპანეთში გადავიდა და „ვილიარეალს" შეეკედლა.

„ბარსელონასგან" ჰოლანდიელი ტყუპისცალი გათავისუფლდა. კატალონიური კლუბის ყოფილი კაპიტანი სამშობლოში დაბრუნებას და ამსტერდამის „აიაქსში" გადასვლას ლამობდა. ამსტერდამში მას ჩასაფრებული თურქები დაუხვდნენ. ფრანკი ორ დღეში დაამუშავეს და დაითანხმეს.

ჰოლანდიელი ჯერ გაჯიუტდა, ცოლიო, სამი შვილიო და ბავშვების სწავლა-განათლებაო. ჯანაიდინის აგენტები ფეხბურთელს შეუჩნდნენ. შენს ცოლ-შვილს ჰალვა და ზეითუნის ხილი არ მოაკლდება და მათ მოვლა-პატრონობაზეც ვიზრუნებთო.

თურქულ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ტყუპისცალმა საბოლოო სიტყვა მეუღლეს სთხოვა. ქალი დაყაბულდა. ფრანკ დე ბური „გალათასარაიში" ორ წელიწადს გაატარებს და 3 მილიონ 200 ათასს ევროსაც მიიღებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# საერთაშორისო მილუტინოვიჩმა სერბეზისთვის ვერ მოიცალა

ბაქოში აზერბაიჯანთან მოუნელებელი მარცხის შემდეგ სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრების მწვრთნელი დეიან სავიჩევიჩი პოსტიდან გასახდელში შეუსვლელად გადადგა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების თავკაცად ნაწრთობი ბორა მილუტინოვიჩის დანიშვნა სურდა. თითქოს კონტრაქტზე ხელმოწერა და საქმეც დაგვირგვინდებოდა, მაგრამ მსოფლიომოვლილმა მილუტინოვიჩმა ოჯახური პრობლემების გამო სამუშაოზე უარი თქვა.

ფედერაციის პრეზიდენტმა დრაგან სტოიკოვიჩმა არჩევანი ილია პეტკოვიჩზე შეაჩერა. 57 წლის სპეციალისტი 2001 წელს ორი თვის მანძილზე წვრთნიდა მაშინდელ იუგოსლავიის გუნდს, მანამდე კი ჩინეთში საქმიანობდა.

ილია პეტკოვიჩი ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლს ჩაამთავრებს. დრაგან სტოიკოვიჩი დარჩენილ მატჩებში მისგან აუცილებელ გამარჯვებას არ ითხოვს, მთავარია, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ვიმარჯვოთო. ევროპის მომავალ ჩემპიონატზე სერბეთ-ჩერნიგორიის გამგზავრების შანსი თითქმის ნულის ტოლია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ილია პეტკოვიჩი


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49



ენდი ვან დერ მეიდე ამბიციამ „ინტერში“ წაიყვანა

# ძნელია, თქვა არა

## აიაქსმა კარგი თამაშით ყელი გამოიჭრა

**როგორც ჩანს**, ამსტერდამის „აიაქსი“ გაისად ისეთ კარგი გუნდი ვეღარ იქნება, წინა სეზონში რომ იყო. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმის საფუძველს მიმდინარე მოვლენები გვაძლევს.

საკმარისი იყო, ამსტერდამელებს ჩემპიონთა ლიგაში კარგად ეთამაშათ, რომ მათ ფეხბურთელებზე ნადირობა გამოცხადდა. მართალია, ეს ტრანსფერები ისეთი გახმაურებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ „აიაქსი“ წამყვან მოთამაშეებს კარგავს.

მონადირეებად იტალიური კლუბები გვევლინებიან.

სულ ცოტა ხნის წინ „აიაქსი“ მისმა რუმინელმა კაპიტანმა კრისტიან კივუმ დატოვა და „რომაში“ გადავიდა (თუმცა ეს ტრანსფერი ფიფას მიერ დროებით შეჩერებულია). ხოლო ახლა გუნდიდან ენდი ვან დერ მეიდეც წავიდა და მილანის „ინტერს“ შეუერთდა.

ვან დერ მეიდემ სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და შესათანხმებელი მხოლოდ პირადი კონტრაქტის უმნიშვნელო პუნქტებიღა დარჩა.

ამსტერდამელთა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა დაიწუწუნა: „როდესაც „ინტერის“ დონის გუნდი შენი ერთ-ერთი მოთამაშით არის დაინტერესებული და თავად ფეხბურთელიც ამბიციურია, ძნელია, ტრანსფერს თავი აარიდო.“

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ „კიევოდან“ გადაბირებული ბრაზილიელი ლუსიანოსა და „ოსერიდან“ ნაყიდი ხალილუ ფადიგას შემდეგ ვან დერ მეიდე ამ რამდენიმე დღეში „ინტერის“ მესამე შენაძენია.

**გიორგი კაკაბაძე**

# ემერტონმა ახალი ცხოვრება დაიწყო

## ცოლიც მოიყვანა და გუნდიც გამოიცვალა

**დიდი დრო** არ გასულა მას შემდეგ, რაც ინგლისურმა „ბლექბერნ როვერსმა“ დევიდ დანი და კეიტ გილესპი გაასხვისა. ცხადია, გუნდს მათი შემცვლელი ესაჭიროებოდა და აი, პრემიერლიგას კიდევ ერთი ავსტრალიელი შეემატა. ის „ფეიენოორდის“ აწ უკვე ყოფილი მოთამაშე ბრეტ ემერტონია. ამ უკანასკნელმა „ბლექბერნში“ ოთხი წელი უნდა დაჰყოს, ხოლო კონტრაქტის სხვა პირობები არ გახმაურებულა.

„მწვრთნელს უკვე ვესაუბრე. ის ჩემზე დიდ იმედს ამყარებს“ — აღნიშნა ემერტონმა „ფეიენოორდის“ ვებსაიტზე.

ხოლო ახალ გუნდზე თქვა: „ბლექბერნი“ კარგი გუნდია. მან წინა სეზონში მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და, როგორც ჩანს, წლეულს უკეთესად ითამაშებს“.

24 წლის ემერტონი გრემ სუნესის გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება.

2002 წელს „ფეიენოორდმა“ უეფას თასი რომ მოიგო, ამაში დიდი წვლილი ემერტონსაც მიუძღვის (მიუხედავად იმისა, რომ ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა). გარდა ამისა, იმავე წელს იგი ოკეანეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, თუმცა ამ ჯილდოს მიღება მან მხოლოდ ერთი თვის წინ შეძლო, როცა სამშობლოში დასაქორწინებლად დაბრუნდა.

**გიორგი კაკაბაძე**



# თადარიგიც ამას ჰქვია

## სენჟერმენელებმა ლიდერი უკვე შეცვალეს



პეტრო პაულეტამ დედაქალაქი მოინდომა

**მაშინ**, როცა საფეხბურთო სამყარო იმის მოლოდინშია, თუ რომელ კლუბში გადავა რონალდინიო, მისმა ახლანდელმა გუნდმა „პარი სენ ჟერმენმა“ უკვე იმაზე დაიწყო ზრუნვა, ბრაზილიელის წასვლამ შეტევის ხაზი არ დაგვისუსტოსო.

ამ მიზნის მისაღწევად პარიზელებმა „ბორდოსგან“ პორტუგალიელი პედრო პაულეტა შეიძინეს. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა, მაგრამ როგორც ფრანგული პრესა იუწყება, პაულეტა პსჟ-ში სამ სეზონს გაატარებს, ხოლო მისი სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით 12 მილიონი ევროა.

30 წლის პაულეტა „ბორდოში“ 2000 წლის სექტემბერში გადავიდა და მაშინვე ჟირონდელთა ლიდერად იქცა. იგი ბოლო ორ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ხოლო 2002 წელს საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. პაულეტამ ბორდოელთაგან წლეულსაც ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და სულ ცოტა დააკლდა, რომ კვლავ ბომბარდირი გამხდარიყო.

მიუხედავად პაულეტას ასეთი სიჩაუქისა, „ბორდო“ მას მაინც შეელია, რადგან თავად ფეხბურთელის სურვილიც პარიზში გადაბარგება იყო.

**გიორგი კაკაბაძე**



ბონავენტურე კალუ

# პაპა გის ამაგი

ეს ამბავი ოსერში დაიწყო, მილანით გაგრძელდა, როტერდამს გადასწვდა და კვლავ ოსერში დასრულდა.

აზიურ მუნდიალზე ხალილუ ფადიგა ოქროს მოპარვის გარდა საკმაოდ კარგი ფეხბურთის თამაშშიც ამხილეს. ფადიგა გი რუს გამოზრდილია და მხცოვანი მწვრთნელის აღზრდილებს ევროპაში ენდობიან. „ოსერის“ სენეგალელი ლეგიონერი მილანის „ინტერმა“ წაიყვანა და ფრანგებს გარკვეული ოდენობის ფული გადაურიცხა.

ჩაფულიანებულმა ფრანგებმა როტერდამში სენეგალელის შემცვლელი ნახეს — ბონავენტურე კალუ. კოტდივუარელი ფეხბურთელი ჰოლანდიის 1999 წლის ჩემპიონი და შარშანდელი უეფას თასის მფლობელია. ქომაგებს ეგებ ახსოვთ კიდეც, რომ როტერდამში 1997 წელს ჩასული კალუ „ფეიენოორდშივე“ მყოფი გიორგი დემეტრაძის კონკურენტი იყო და მაშინ იქაურებმა კოტდივუარელი ამჯობინეს.

აწ უკვე ყოფილ ფეიენოორდელს ჰოლანდიაში 149 მატჩი უთამაშია და 35 გოლიც მიუთვლია. მან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ოსერთან“, რომელშიც მისი ერთი თანამემამულე, ოლივიე კაპო თამაშობს.

მოკლედ, წრე წარმატებულად შეიკრა. გი რუს აღზრდილი ჯიბესქელმა მილანმა შეიძინა, „ოსერმა“ ფული მიითვალა, ცოტაოდენი ბონავენტურე კალუს სანაცვლოდ გაიღო და ნიჭიერთა აღმზრდელსაც ამაგი დაუფასა: გი რუ გუნდში მწვრთნელად კიდევ სამი სეზონით დატოვეს. მას ამ ხნის განმავლობაში „ოსერში“ ყოფნის 45-წლიანი სტაჟი მიუგროვდება. აი, პაპა!

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბრაზილიელმა შეკრებაზე უნდა დაიგვიანოს

## რონალდინიომ კი შეიძლება უარესი ქნას

ძმებისა და ძმობის შესახებ ალბათ თქვენც ბლომად გსმენიათ, მაგრამ ასისები რომ არიან, ტყუილია. რომელი ასისები? — რონალდინიო და რობერტო. პირველი კლიენტი, მეორე აგენტი. ერთი ფეხბურთელია, მეორე — ფეხბურთელის ძმა.

ზაფხული დაიწყო, ხალხი მიდი-მოდის, ზოგი ერთი გუნდიდან მეორეში ცხრაჯერ გადავიდა და ისევ ძველ კლუბში დარჩა, ზოგს კი ცხრაჯერ უთხრეს, არსად გიშვებთო და მაინც წასასვლელად იქაჩება.

რონალდინიო ივნისის დასაწყისიდანვე სადღაც მიემგზავრება, მაგრამ თავადაც ვერ გაუგია, სად, იქნებ იცის კიდეც, მაგრამ ქვეყანას თავგზას ურევს.

ამჟამად პსჟ-ს ბრაზილიელი სამშობლოშია. პარიზში სეზონის წინა შეკრებაზე გუშინწინ უნდა ჩასულიყო, მაგრამ ანაღვლე, ვაჰიდ ჰალილჰოჩიჯი ამაოდ ელის. გამორიცხული არ არის, სამშობლოდან პირდაპირ მანჩესტერში, ბარსელონაში ან მადრიდში ჩავიდეს.

ხუან ლაპორტამ და მისმა დამქაშმა სანდრო როსელიმ რონალდინიო „ბარსაში“ თითქოს გადაიყვანეს, მაგრამ ფეხბურთელის ძმამ ჩამოარაკრაკა: „რონალდინიოს „მანჩესტერ იუნაიტედში“ წასვლა სურს. მას პარიზი აღარ უნდა. მე პსჟ-ს პრეზიდენტს ვესაუბრე და ამ საკითხის შესათანხმებლად ვმუშაობ“.

ფეხბურთელმა შეკრებაზე დაიგვიანა და ეს შარშანაც ასე იყო. მაშინ მწვრთნელი ლუის ფერნანდესი გახლდათ. ფრანგმა „რონი“ გვარიანად შეხურა ანუ კედელს ცარცვი შეაფრქვია. ეგებ სამშობლოდან საფრანგეთში დაბრუნებას არც აპირებს და პირდაპირ „ოლდ ტრეფორდს“ მიაშუროს.

თუ მიდიხარ, მიდი, რაღა!

**ვაჟა ხუციშვილი**





# რეალი VS ბარსელონა

*... კოლუმბიური გაზეთები იმასაც კი წერდნენ, დი სტეფანო გაიტაცესო.*
*... ხმები გავრცელდა, თითქოს მე „მილიონარიოსის" ფული მემართა.*
*... ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კოლუმბიელებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ჰპირდებოდა, დი სტეფანო ვერც ერთ ესპანურ კლუბში ვერ ითამაშებსო.*
*... შვილო, არ მოგბეზრდა ასე ცხოვრება? ადექი და წადი ესპანეთში, „რეალსაც" დაელაპარაკე და „ბარსელონასაც".*
*... ჩემთვის სულ ერთი იყო, „ბარსელონაში" ვითამაშებდი თუ „რეალში".*
*... „რეალმა" კოლუმბიელებს 27 ათასი დოლარი გადაუხადა ჩემი კონტრაქტის გამოსყიდვაში.*
*... არგენტინელებსაც რა ენაღვლებოდათ — „ბარსელონას" ფული სინდისის ქენჯნის გარეშე გამოართვეს.*

სამშობლოში საშობაოდ ჩასული, კოლუმბიაში დაბრუნებას არ ვჩქარობდი. რაც მთავარია, „მილიონარიოსზე" ისე მქონდა გული აცრუებული და ისე მინდოდა სათამაშოდ ესპანეთში გადაბარგება, ჩემი კლუბისთვის არც შემიტყობინებია, ბუენოს აირესში რომ დავრჩი.

ამის გამო ბოგოტაში ერთი ამბავი ატყდა. რაკი ჩემი ასავალ-დასავალი არ იცოდნენ, კოლუმბიური გაზეთები იმასაც კი წერდნენ, დი სტეფანო გაიტაცესო. პოტენციურ გამტაცებელთა შორის... „ბარსელონასაც" ასახელებდნენ.

„მილიონარიოსის" პრეზიდენტი ალფონსო სენიორი საგანგებოდ ჩემს მოსაძებნად ბუენოს აირესში ჩამოვიდა და მამაჩემის სახლში მიპოვა. უკან დაბრუნება ულტიმატუმის ენით მომთხოვა.

ჩემდამი ამგვარმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გამაღიზიანა და მტკიცე უარი ვუთხარი. სიტყვით რომ ვერაფერს გახდა, კოლუმბიაში დაბრუნდა და იქიდან მითვლიდა მუქარას. ხმები გავრცელდა, თითქოს მე „მილიონარიოსის" ფული მემართა, რომელიც კონტრაქტის გაგრძელებისას ავანსად მივიღე. ფიფაშიც მიჩივლა, რომ ჩემი გადაბირება არავის ეცადა, სანამ „მილიონარიოსთან" კონტრაქტი არ დამისრულდებოდა. რაკი იქ არ ვთამაშობდი, უნდოდათ, რომ ფეხბურთი საერთოდ აღარ მეთამაშა.

სენიორის მცდელობამ შედეგი გამოიღო. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კოლუმბიელებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ჰპირდებოდა, დი სტეფანო ვერც ერთი ესპანურ კლუბში ვერ ითამაშებსო.

სხვათა შორის, არანაირი ავანსი არ ამიღია. 4 ათასი დოლარი, რომელიც კონტრაქტის გაგრძელებისას მომცეს, უბრალოდ წინა წლის დავალიანება იყო.

„მილიონარიოსში", რომ მოვეკალით, არ დავბრუნდებოდი, მაგრამ სიტუაციის უკიდურესად დაძაბვაც არ მინდოდა. ბოლოს და ბოლოს, იმ გუნდთან უამრავი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებდა.

სენიორის დავუკავშირდი და ვუთხარი, რომ უბრალოდ დასვენება მჭირდებოდა და კონტრაქტის დასრულებამდე არსად წავიდოდი. გამოდიოდა, რომ დაახლოებით წელიწადნახევარი არ უნდა მეთამაშა, 1954 წლის ოქტომბრამდე.

თავიდან პირობას ვასრულებდი, მაგრამ 1954 წლის დასაწყისში სახლში უქმად ჯდომა მომბეზრდა და „რივერში" დავიწყე თამაში.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ესპანეთში ჩემს მიმართ ინტერესი არ განელებულა. ერთ მშვენიერ დღეს სახლში სტუმარი გვეწვია. ის „ბარსელონას" წარმომადგენელი აღმოჩნდა და ხოსეპ სამიტიერისგან მოკითხვა და კატალონიაში მიწვევა გადმომცა.

მიწვევა თვით სამიტიერისგან — ეს უდიდესი პატივი იყო. სამიტიერი დიდებული პიროვნება გახლდათ, მე ის ესპანეთში პირველად ჩასვლისას გავიცანი. იმ დროისთვის კი მას თამაშისთვის თავი უკვე დაენებებინა და „ბარსელონას" დირექტორატში მუშაობდა. მისთანა ადამიანი არ შემხვედრია, მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობდა და ლაპარაკშიც კი საფეხბურთო ტერმინებს იყენებდა. „იმედი მაქვს, პასს მომცემ" — ამბობდა, როცა მხარდაჭერა სჭირდებოდა, ან: „ჩემო ძმაო, შენ ოფსაიდში ხარ" — ამით გვეუბნებოდა, რომ მართალი არ იყავი.

მაგრამ ამხელა პატივის მიუხედავად, დათანხმება მაინც არ შემეძლო. ერთი საქმე იყო „რივერში" თამაში და მეორე, ესპანეთში წასვლა. ვიცოდი, „მილიონარიოსი" ამას არ შეურიგდებოდა. „ბარსელონას" წარმომადგენლის სტუმრობიდან ცოტა ხანში იგივე თვით ელენიო ერერას ვუთხარი, ლეგენდარულ მწვრთნელს, რომელიც იმხანად „ატლეტიკოში" მუშაობდა.

ჩემს გარშემო აგორებული ხმები კი სულ ახალ-ახალი დეტალებით მდიდრდებოდა. ამბობდნენ, რომ „ბარსელონამ" „მილიონარიოსს" ჩემი გამოსასყიდი თანხა გადაუხადა და რომ „რეალმა" კოლუმბიელებს ბარსელონელებზე ორჯერ მეტი ფული შესთავაზა.

ამდენი ჭორებით შეწუხებულმა მამაჩემმა ერთხელაც გამომიცხადა: „შვილო, არ მოგბეზრდა ასე ცხოვრება? ადექი და წადი ესპანეთში, „რეალსაც" დაელაპარაკე და „ბარსელონასაც".

— მაგრამ „მილიონარიოსს" რა ვუყო, გაგიჟდებიან — ვუპასუხე მე.

— შენც ნუ იტყვი რისთვის მიდიხარ, ვითომ უნდა დაისვენო.

აი, ასე, 1954 წლის 23 მაისს სარასთან და შვილებთან ერთად მადრიდში ჩავფრინდი. აეროპორტში ხოსეპ სამიტიერი დაგვხვდა.

სამიტიერი თან გვყვებოდა, სურდა, რომ მაქსიმალურად კომფორტულად გვეგრძნო თავი. მაგრამ სამწუხაროდ, მასზე ყველაფერი არ იყო დამოკიდებული. ფეხბურთის ფედერაციაში საკმაოდ ცივად შემხვდნენ, ხოლო ბარსელონაში ჩასულს ერთთავად მესმოდა: „მოითმინეთ". ეს მოთმინება და ბარსელონას მეტისმეტად [illegible] ენთუზიაზმს ვერ [illegible]

დრო გადიოდა, მაისს ივნისი მოჰყვა, ივნისს — ივლისი, პასუხი კი არ ჩანდა. მეტიც, კატალონიელები ისე ფრთხილობდნენ, რომ ვარჯიშის უფლებასაც არ მაძლევდნენ. მესმოდა, რომ კლუბი იძულებული იყო ფედერაციისთვის ანგარიში გაეწია და რაც შეეძლო, მიკეთებდა — ბინა მიქირავა და ჯიბის ფულსაც მაძლევდა, მაგრამ ყველაფერი მაინც იმდენად მოსაბეზრებელი იყო, ერთ დღეს სარას ვუთხარი: ჯანდაბას ყველაფერი, ბილეთებს ვიღებ და ბუენოს აირესში ვბრუნდებით-მეთქი.

ამგვარ ხასიათზე ვიყავი, როცა ჩემი ფიქრი მოულოდნელად „რეალზე" გადაერთო. გაზეთები წერდნენ, რომ „რეალი" გულხელდაკრეფილი არ იყო და ჩემი გადაბირება ეწადა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულ ერთი იყო, „ბარსელონაში" ვითამაშებდი თუ „რეალში", ოღონდაც მოედანზე გასვლის საშუალება მომცემოდა. ბარსელონური ზაფხულიც სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

აი, ერთხელ ბარსელონაში რაიმუნდო საპორტამ ჩამომაკითხა. იმ დროს იგი სანტიაგო ბერნაბეუს მარჯვენა ხელი ყო, მოგვიანებით „რეალის" ვიცე-პრეზიდენტი გახდა, ბოლოს კი საპატიო პრეზიდენტობასაც გამოჰკრა ხელი.

ჩემი და საპორტას შეხვედრა სრულიად საიდუმლოდ შედგა და მან მადრიდელთა გეგმები გამაცნო. აღმოჩნდა, რომ ბერნაბეუს დავალებით საპორტა ალფონსო სენიორის დაკავშირებია და მის პირობებს დათანხმებულა. „რეალმა" კოლუმბიელებს 27 ათასი დოლარი გადაუხადა ჩემი კონტრაქტის გამოსყიდვაში.

და რას აკეთებდა ამ დროს „ბარსელონა"? რაკილა „მილიონარიოსზე" გულაყრილი რამდენიმე თვე „რეალში" ვთამაშობდი, კატალონიელებს სწორედ „რევერთან" გაუმართავთ მოლაპარაკება და ფულიც კი გადაუხდიათ. არგენტინელებსაც რა ენაღვლებოდათ — „ბარსელონას" ფული სინდისის ქენჯნის გარეშე გამოართვეს.

ამგვარად, ერთდროულად „რეალმა" „მილიონარიოსისგან" მიყიდა, „ბარსელონამ" კი — „რივერ პლეიტისგან". ცხადია, კანონიერი ძალა „რეალის" გარიგებას ჰქონდა და მეც „რეალის" წევრი გავხდი.



რაიმუნდო საპორტა და მეფე



ხოსეპ სამიტიერი



ელენიო ერერა

# რაინდი და მისი საქმე



## იერომ იგრძნო, რომ ეს დასასრული იყო...

*ფერნანდო იერო რკინის ნებისყოფისა და ოქროს გულის მქონე კაცია. მართალია, ახლა „რეალის“ კაპიტანი აღარ არის, მაგრამ კასტილიური გრანდის სისხლხორცეულ ნაწილად მაინც რჩება. ყოფილ რეალელს ესპანური „ლიბრედირექტო“ გაესაუბრა.*

**— როდესაც „ბილბაოსთან“ თამაშის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუ“ დატოვეთ, უკვე მაშინ ხომ არ იგრძენით, რომ ეს „რეალის“ შემადგენლობაში თქვენი უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა?**

— დიახ, ნამდვილად ვიგრძენი. ვისენტე დელ ბოსკემ ჩემი შეცვლა 93-ე წუთზე გადაწყვიტა. როდესაც მოედანს ვტოვებდი, ინჩასები ჩემს სახელს გაჰყვიროდნენ, ქუჩაში ფიესტის დროს კი ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს ხალხი სევდანარევი მხიარულებით მემშვიდობებოდა. შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, უკვე საოცრად ნათლად ვხედავდი, რომ ეს, თუმცა საპატიო, მაგრამ მაინც დასასრული იყო.

**— რა როლი შეასრულა „რეალმა“ თქვენს ცხოვრებაში?**

— ეს იყო უბედნიერესი ხანა, 14 წელი მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვთამაშობდი. 500-ჯერ დავიცავი „რეალისა“ და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ღირსება, რაც, ჩემი აზრით, ოცნების დიდებული განხორციელებაა. ეს გუნდი ჩემი ცხოვრება, ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი გახლდათ, მისი გამარჯვებისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს.

**— რა გითხრათ თქვენმა შვილმა მშობლიურ კლუბთან განშორების შემდეგ?**

— როდესაც შინ მივედი და ეს ამბავი შევატყობინე, მცირე ხნის დუმილის შემდეგ მკითხა: „მამა, ახლა ჩვენ რომელ გუნდში ვართ?“ ჩემი პასუხი კი ასეთი იყო: „შვილო, მამაშენი იყო, არის და იქნება „რეალის“ ერთგული ჯარისკაცი. ეს მთელი ჩვენი ცხოვრების გუნდია.“

**— ინჩასებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ბრწყინვალე. მათი სამუდამოდ მადლიერი ვარ. მადრიდელმა გულშემატკივრებმა მე მაჩვენეს, თუ რას ნიშნავს ღირსება, გულისხმიერება და ვაჟკაცური პატივისცემა. ფერნანდო იერო მათთან ურთიერთობით ძალიან ამაყია.

**— „რეალთან“ კავშირის გაწყვეტამ თქვენ ეკონომიკურად არ დაგაზარალათ, პირიქით, კლუბმა სოლიდური საჩუქრებიც შემოგთავაზათ...**

— მე „რეალთან“ ანაზღაურებაზე ლაპარაკი სირცხვილად მიმაჩნია. აქედან გამომდინარე, არავითარი ფინანსური პრეტენზია არ მაქვს. ერთადერთი, რასაც ვნატრობ, არის ის, რომ „სამეფო გუნდმა“ არ დაკარგოს ის ეპოქალური ტრადიციები, რაც წლების განმავლობაში თაობიდან თაობაში გადადიოდა.

**— ესპანეთის ნაკრებზე იმიტომ თქვით უარი, რომ კლუბს უფრო მეტად დახმარებოდით. ახლა, როდესაც თავისუფალი ხართ, დაბრუნდებით ქვეყნის პირველ გუნდში? დავუშვათ, ინაკი საესმა გთხოვათ ამის შესახებ.**

— მართალს ამბობთ, ნაკრებს „რეალის“ გულისთვის დავშორდი. სამწუხაროდ, არ მგონია, ამ ეტაპზე ჩემი იქ დაბრუნება საფეხბურთო თვალსაზრისით მართებული იყოს, თუნდაც ამის თაობაზე ინაკი საესმა მთხოვოს. ჩემი სანაკრებო კარიერა დამთავრებულია, მინდა თუ არა, დამსახურებული ვეტერანის მშვიდი ცხოვრება მაინც მომიწევს.

**— გაბრიელ მილიტოს თუ იცნობთ?**

— პირადად არა. ალალად მინდა, მადრიდში წარმატებული კარიერა ჰქონდეს. როგორც „რეალის“ გულშემატკივარი, ბევრ გამარჯვებასა და კარგ თამაშს ვუსურვებ. ეს ყოველი მადრიდელი ინჩასისთვის გასახარი იქნება.

**— რაიმე რჩევას ხომ არ მისცემდით? მადრიდის „რეალის“ ცენტრალურ მცველად ყოფნა ადვილი საქმე არ არის...**

— არა მგონია, ბევრი რჩევა-დარიგება სჭირდებოდეს. ერთადერთი, რაც შემიძლია ვუთხრა, ის არის, რომ საკუთარ თავს ნუ დაალალატებს, იყოს ის, რასაც რეალურად წარმოადგენს. „ბერნაბეუზე“ უყვართ მტკიცე ხასიათის ფეხბურთელები.

**— ნუთუ არ გსურდათ, თუნდაც ერთი წელი კიდევ გეთამაშათ „სამეფო გუნდში“?**

— პრიმერას ბოლო მატჩიდან მცირე ხანში გუნდის უფროსობასთან სერიოზული შეხვედრა მქონდა. სამი ვარიანტი შემომთავაზეს, ერთ-ერთი მათგანი ერთი სეზონით „რეალში“ ჩემს დარჩენას ითვალისწინებდა გარკვეული ფინანსური ოპერაციების მოგვარების შემდეგ. რიგი მიზეზების გამო ყველა წინადადებაზე უარი განვაცხადე.

**— რამდენიმე სიტყვა თქვენს საფეხბურთო მომავალზეც ვთქვათ. ყატარში წასვლას ნამდვილად აპირებთ?**

— თქვენთან საუბრის მერე სერიოზულად დავიწყებ ფიქრს სამომავლო გეგმებზე და უახლოეს დღეებში გადავწყვეტ, გეზი საით უნდა ავიღო. გეტყვით, რომ უკვე მაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება.



მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან მატჩის მერე ფერნანდო იერომ სანაკრებო კარიერა დაასრულა, ცრემლად დაიღვარა და რაულის დასამშვიდებელი შეიქნა



რვა წელი გავიდა, რაც გარსია კალვო „რეალს“ გაეყარა

# იარონ, იარონ...

*თუ გახსოვთ, სამშაბათს ვწერდით, მადრიდის „რეალმა“ ერთბაშად 16 ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზეო. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინღა დარჩა? მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ 11 ფეხბურთელს, რომლებიც „რეალს“ აქამდე იჯარით ჰყავდა გაშვებული, გასესხების ვადა გაუვიდა და მადრიდში დაბრუნდნენ. ჰოდა, ბუნებრივია, გუნდი ისე გაიბერა, ბლომად ფეხბურთელები ისევ თუ არ გაასხვისა, საქმე ცუდად წაუვა.*

*ქვემოთ „რეალში“ მოსულ-წასულები ჩამოვთვალოთ.*

## წავიდნენ

| | | |
|---|---|---|
| ფერნანდო იერო | უგუნდო | კონტრაქტი დაუმთავრდა |
| ვალმირო ვალდო | „ოსასუნაში“ | 1,5 მილიონ ევროდ |

## მოვიდნენ

| | | |
|---|---|---|
| დევიდ ბექემი | „მანჩესტერიდან“ | 25 მილიონ ევროდ |
| პედრო მუნიტისი | „რასინგიდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| დავიდ აგანსო | „ვალიადოლიდიდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ედვინ კონგო | „ლევანტედან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ალბერტო რივერა | „ლევანტედან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ხავიერ დორადო | „რაიო ვალეკანოდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ხულიო ალვარესი | „რაიო ვალეკანოდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| სავიო | „ბორდოდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ივან კამპო | „ბოლტონიდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| ხულიო სესარი | „რაპიდიდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| როდრიგო ფაბრი | „გრემიოდან“ | იჯარა დაუსრულდა |
| რუბენ გონსალესი | „რეალის“ სარეზერვო გუნდიდან | |
| გაბრიელ მილიტო | „ინდეპენდიენტედან“ | 4 მილიონ ევროდ |

*დღევანდელ „რეალს“ ეს უკვე აღარ ეხება, მაგრამ გულშემატკივრისთვის ეგებ საინტერესო იყოს, რას საქმიანობენ ძველი რეალელები, რომლებსაც კარიერა ჯერ არ დაუსრულებიათ.*

| | როდის გაუშვეს | სად თამაშობს |
|---|---|---|
| გარსია კალვო | 1995 | ატლეტიკო |
| ალფონსო პერესი | 1996 | ბარსელონა |
| მიკელ ლასა | 1997 | მურსია |
| ლუის ენრიკე | 1997 | ბარსელონა |
| ივან სამორანო | 1997 | ამერიკა |
| ზე რობერტო | 1997 | ბაიერნი |
| სანტიაგო კანისარესი | 1998 | ვალენსია |
| დანი გარსია | 1998 | ბარსელონა |
| ვიქტორ სანჩესი | 1998 | ვალიადოლიდი |
| ხოსე ამავისკა | 1999 | დეპორტივო |
| პრედრაგ მიატოვიჩი | 1999 | ლევანტე |
| ფერნანდო სანსი | 1999 | მალაგა |
| კრისტიან პანუჩი | 1999 | რომა |
| რობერტ იარნი | 1999 | პანათინაიკოსი |
| რობერტო როხასი | 1999 | მალაგა |
| ედგარ პარტისიო | 1999 | მალაგა |
| დავორ შუკერი | 1999 | მიუნხენი |
| პედრო კონტრერასი | 1999 | მალაგა |
| ხაიმე სანჩესი | 1999 | დეპორტივო |
| მანუელ კანაბალი | 1999 | მალაგა |
| ფერნანდო რედონდო | 2000 | მილანი |
| კლარენს ზეედორფი | 2000 | მილანი |
| კრისტიან კარამბუ | 2000 | ოლიმპიაკოსი |
| სამუელ ეტოო | 2000 | მალიორკა |
| ალბანო ბიზარი | 2000 | ვალიადოლიდი |
| ნიკოლა ანელკა | 2000 | მანჩესტერ სიტი |
| აიტორ კარანკა | 2002 | ბილბაო |
| ელვირ ბალიჩი | 2002 | გალათასარაი |

# ფულისა და ზღაპრის ქისატყუილა
## ჩამოთვლილის ჩემპიონი

*კაცი რომ კლუბის აქციათა ნახევარზე მეტს იყიდის და ეს კლუბი ლონდონის „ჩელსია“, გუნდში რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.*

*რომან აბრამოვიჩის მისვლის დღიდან არისტოკრატულ უბანში დღეში სამჯერ ესმით ერთი და იგივე: აბრამოვიჩი ყიდულობს კრისტიან ვიერის, ტიერი ანრის, ედგარ დავიდსს, კიდევ სხვას მრავალს და თითოეული მათგანის სანაცვლოდ 30-დან 50-მილიონამდე ევროს გადამხდელია. ბიზნესმენს, იცოცხლეთ, ფული აქვს, მაგრამ მისი ქისა ოდენ 18 წლის ვესტჰემელ გლენ ჯონსონს და მადრიდელ ჯერემი ნჯიტაპს შესცვდა, რომელიც გუშინ 6 მილიონ 900 ათას გირვანქად შეიძინა. 30-ის ან 50 მილიონის ამღები, ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა.*

მას მერე, რაც რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა ლონდონის „ჩელსი“ იყიდა (140 მილიონ გირვანქად), ყველას იტალიელი მწვრთნელისკენ კლაუდიო რანიერისკენ აქვს ყურადღება მიპყრობილი. რანიერი თანამდებობიდან ჯერ არავის მოუხსნია, მაგრამ ხმები იმის შესახებ, რომ მის ზურგსუკან სულ უფრო და უფრო ინტენსიურად აწარმოებენ სხვა სპეციალისტებთან მოლაპარაკებებს, ძლიერდება. კერძოდ, გაირკვა, რომ აბრამოვიჩის ხალხი სვენ გორან ერიკსონსაც შეხვედრია და მისგან უარის მიღების შემდეგ, ვისენტე დელ ბოსკეზეც გადართულან. ერიქსონი, მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელია, დელ ბოსკე კი მადრიდის „რეალიდან“ სულ ცოტა ხნის წინ დაითხოვეს.

დელ ბოსკე: „დამირეკეს და თანამდებობა შემომთავაზეს, მაგრამ საკითხი ფრიად დელიკატურია. „ჩელსის“ ჰყავს მწვრთნელი, მისი კონტრაქტი კვლავ ძალაშია და ასეთ პირობებში მე კლუბთან ვერ ვილაპარაკებ. მე რომ მოლაპარაკება წამოვიწყო, თავადაც უკმაყოფილო ვიქნები და რანიერისაც ვაწყენინებ. ინგლისში, პრემიერლიგაში მუშაობას ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა, მაგრამ არა ყველაფრის ფასად. მე ეთიკური პიროვნება გახლავართ.“

დელ ბოსკე ამჟამად კუნძულ იბისაზე ისვენებს. მისმა აგენტმა, პედრო დე ფელიპემ განაცხადა, რომ სატელეფონო ზარის მიუხედავად, ოფიციალური წერილი „ჩელსის“ წარმომადგენლებისგან ჯერ არ მიუღია, თუმცა, ისე ჩანს, რომ კლაუდიო რანიერის დღეები ლონდონური გუნდის მწვრთნელის პოსტზე მართლაც დათვლილია.




„წითელი რომი“, რომან აბრამოვიჩი, 48 საათში 48-მილიონიან შეთავაზებებს აკეთებს...

ამბობენ, რომ აბრამოვიჩმა ხსენებულ სპეციალისტთა გარდა, „რომას“ არანაკლებ სახელოვან თავკაცს, ფაბიო კაპელოსაც დაურეკა.

რაც შეეხება აბრამოვიჩისა და რანიერის ურთიერთობას, ის რთული და უცნაურია. რანიერიმ ერთი მხრივ განაცხადა, რომ თუ აბრამოვიჩი მის საქმეებში ჩაერევა, (როგორც ეს ერთ-ერთ ამასწინანდელ ვარჯიშზე მომხდარა), იგი ქუდს დაიხურავს და „ჩელსიდან“ წავა, ხოლო მეორე მხრივ, მწვრთნელზე თავმჯდომარესთან პირისპირ საუბარმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა:

„კარგი, სასარგებლო შეხვედრა გვქონდა. რომანი ზრდილი ადამიანია, გუნდის შესახებ ყველაფერი იცის და ჩემი იდეებიც გაიზიარა. რასაკვირველია, მას მოგება სურს: მეც მსურს მოგება. ჩვენ ორივეს გვინდა „რეალის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თუ „არსენალის“ დონის გუნდი შევქმნათ და მზად ვართ ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. ვიცი, როდესაც გუნდში ახალი პატრონი მოდის, მას შესაძლოა ძველი მწვრთნელის გამოცვლა სურდეს, მაგრამ რომანმა ეს კატეგორიულად იუარა და მთხოვა, მუშაობა გამეგრძელებინა.“

ხოლო სანამ რანიერი ჟურნალისტებს ამ სიტყვებს ეუბნებოდა, აბრამოვიჩი მილანში ჩაფრინდა და „ინტერის“ პრეზიდენტს, მასიმო მორატის შეხვდა.

ამბობენ, მორატისთან შეხვედრამდე რუსმა „იუვენტუსს“ ედგარ დავიდსი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

ერთი სიტყვით, ოლიგარქის ვიზიტის შემდეგ როგორც „ინტერმა“ ასევე „იუვენტუსმა“ ოფიციალური ცნობები აფრინეს, არავითარი გარიგება არ შემდგარაო.

„იუვეს“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი: „ვადასტურებ, რომ „ჩელსის“ ყველა წინადადება უარვყავით, ხოლო რაც შეეხება დავიდსს, იგი გუნდის სამომავლო გეგმის ნაწილია და არ იყიდება.“

„ინტერის“ პრეზიდენტი, მასიმო მორატი: „შეხვედრა დაგეგმილი არ გახლდათ. უბრალოდ, აბრამოვიჩი იტალიაში ჩამოფრინდა და სერია A-ს კლუბების წარმომადგენლებს გაესაუბრა, ჩვენ ყველაფერს შევეხეთ, ოღონდ ძალიან ნათლად ვსაუბრობდით. დიახ, ვისაუბრეთ სატრანსფერო ბაზარზეც, მაგრამ „ინტერი“ დაკომპლექტებულია და როგორც ვართ, კარგად ვგრძნობთ თავს. აბრამოვიჩს კი ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები, ალვარო რეკობა, ერნან კრესპო და კრისტიან ვიერი აინტერესებდა.“

როგორც ამბობენ, „ჩელსი“ ხუთშაბათს იტალიაში ჩადის და იქ, როკაპარენაში სეზონისწინა მომზადებას იწყებს.

**ბაჩუნა ძიძია**







...ვესტჰემელი გლენ ჯონსონი: 6 მილიონი, ინტერელი კრისტიან ვიერი: 32 მილიონი, რეალელი ჯერემი ნჯიტაპი: 10 მილიონი



# გამოძალვა
## უეინ რუნის შავები დაადგნენ

რომან აბრამოვიჩისა და კენ ბეიტსის გარიგების მესამე დღესვე არისტოკრატულ უბანში ხმები დაირხა, 30 მილიონ ევროდ უეინ რუნის გადმოიყვანენო. ლივერპულულმა გუნდმა მაშინვე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ეს ბიჭი თავად გვჭირდებაო.

რუნის გადასვლა ჩაიშალა, მაგრამ ამ ამბავს სხვა გაგრძელება მოჰყვა. ყმაწვილ ფეხბურთელს მავანნი დაემუქრნენ, 17 წლის ლაპი ბევრ (წელიწადში 2 მილიონამდე გირვანქა) ფულს იღებ და თუ არ გვიწილადებ, კარგს ნურაფერს ელიო. რუნიმ კლუბს ეს ამბავი შეატყობინა, ევერტონელებმა მერსისაიდის პოლიციას მოახსენეს, მაგრამ პოლიციის კვლევა-ძიებამ სახიფათო ვერაფერი აღმოაჩინა.

ჯერჯერობით ერთადერთი ვინც ლონდონის „ჩელსიმ“ გადაიბირა „ვესტ ჰემის“ მარცხენა მცველი გლენ ჯონსონი გახლავთ.

# ერიკსონმა თავი ულელში გაყო
## ერთი საჩრდილა აკლია



ახლა, ასრულდა ოცნება: სვენ გორან ერიკსონმა და ნენსი დელორიომ, როგორც იქნა, დაქორწინება გადაწყვიტეს და თუ ოცნებაზე მიდგა საქმე, ვთქვათ, რომ დაქორწინება ნენსის ოცნება იყო, თორემ ინგლისის ნაკრების მენეჯერი ულელში თავის გაყოფას ბოლო დრომდე შავი ჭირივით გაურბოდა.

ერიკსონი ახლა 55 წლისაა, ნენსი 44-ს და მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ ერიკსონის „ლაციოში“ მუშაობის დროს გაიცნეს. სხვათა შორის, ნენსი დელორიო იმხანად რომაელი იურისტის, ვინმე ჯანკარლო მაცას კანონიერი ცოლი გახლდათ და შვედი მწვრთნელის გამო მიატოვა.

პირველ ცოლს ერიკსონი უფრო ადრე გაეყარა. მას და ან-კრისტენს ორი შვილი ჰყავთ.

ახლა კი ნენსის მეგობარმა გაამხილა: „ნენსიმ მითხრა, რომ სვენი ქორწინებაზე დაიყოლია. მეგობრებს ეს ძალიან გაგვიკვირდა, რადგან სვენი სულ იმას გაიძახოდა, ფორმალობა რა საჭიროა, ისედაც კარგად ვგრძნობთ თავსო. ვფიქრობ, სვენს ულრიკა იონსონთან რომანის შემდეგ, ნენსისთან შერიგების სხვა შანსი აღარ ჰქონდა, ცოლად უნდა მოეყვანა.“

გავიხსენოთ: შარშან ერიკსონმა ნენსი უცბად მიატოვა და ტელეწამყვან ულრიკა იონსონს აეკიდა. თუმც მათმა რომანმა დიდხანს ვერ გასტანა და ნენსის დაჩოქილმა სთხოვა პატიება.

ისევ ნენსი დელორიოს მეგობარი: „ნენსის და სვენს პომპეზური ქორწილის გადახდა არ უნდათ. გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ უახლოესი მეგობრები მიიწვიონ.“

ქორწილის თარიღი ნენსის და სვენს ჯერ არ დაუდგენიათ და ალბათ გაისად შედგება.

**ძოტე ძეძელია**




„სანმა“ ერიკსონის და დელორიოს გადაწყვეტილება მკითხველს დღის მთავარ ამბად ამცნო

# იტალიური ტრანსფერები 2003

## ანკონა

**მოვიდნენ**

კარუზი (კალიარი)
ჯაკობო (მესინა)
ლუიზო (სალერნიტანა)
მონტერვინო (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)
მილანეზე (პერუჯა)
პანდევი (ინტერი)
მენიკინი (ბრეშა)
სკარპი (ინტერი)

**წავიდნენ**

ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაფიედი (ფიორენტინა ვიოლა)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (არეცო)
რობიატი (ინტერი)
სარი (მილანი)
სკარპი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პარმა)

## ბოლონია

**მოვიდნენ**

გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
მანინგერი (ტორინო)
როსინი (ატალანტა)

**წავიდნენ**

ფალკონე (სამპდორია)
პარამატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ძანკი (იუვენტუსი)
არდიტო (სიენა)
ჩიპრიანი (პიაჩენცა)

## ბრეშა

**მოვიდნენ**

ალიარდი (კოზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
კორეა (მარტინა)
ე. ფილიპინი (პარმა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ექსელსიორი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კოზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

**წავიდნენ**

მენიკინი (ანკონა)
კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (პარმა)
ბილიკა (პალერმო)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩილო (კოზენცა)
სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სერიჩი (ვერონა)

## პერუჯა

**მოვიდნენ**

კონჩეტი (ლაციო)
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)
ალუ (ლიონი, საფრანგეთი)
ბიელანოვიჩი (კომო)
ბოტროიდი (ქოვენთრი, ინგლისი)
დი დიო (კატანია)
ტურჩი (სამბენედეტეზე)

**წავიდნენ**

ბარონიო (ლაციო)
ბლაზი (იუვენტუსი)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (ანკონა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ვენეცია)

## იუვენტუსი

**მოვიდნენ**

ატირსონი (ფლამენგო)
კამორანეზი (ვერონა)
კარინი (სტანდარდი, ბელგია)
ლეგროტალიე (კიევო)
მიკოლი (პერუჯა)
მ. ვიერი (ვერონა)
ძანკი (ბოლონია)
აპია (პარმა)
მარესკა (პიაჩენცა)
მაიეტა (მესინა)

**წავიდნენ**

არონიკა (მესინა)
ბონეფოი (მესინა)
გასტალდელო (კიევო)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევო)
სკული (კიევო)
კ. ძენონი (სამპდორია)
ბლაზი (პარმა)
მ. ვიერი (ნაპოლი)
ფრარა (ტერნანა)

## კიევო

**მოვიდნენ**

ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
მარაცინა (რომა)
პარო (იუვენტუსი)
სკული (იუვენტუსი)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძენკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (მილანი)
მარკეჯანი (ლაციო)
ბარონიო (ლაციო)
ფრეცოლინი (ვენეცია)
სალა (ატალანტა)

**წავიდნენ**

ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (პალერმო)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
მ. ლონგო (ტერამო)
ლორენცი (ატალანტა)
ნალისი (ლესტერი, ინგლისი)
მარაცინა (სამპდორია)

## ემპოლი

**მოვიდნენ**

აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
მირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
ბუჩი (ტორინო)
ტრამეცანი (ატალანტა)
ვეტორი (პრატო)
მ. ძანეტი (ვიჩენცა)

**წავიდნენ**

ალეგრეტი (კომო)
ატცორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)

## ინტერი

**მოვიდნენ**

ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლუსიანო (კიევო)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
ლამუში (პარმა)
ბინოტო (კომო)
ფადიგა (ოსერი, საფრანგეთი)
ფარინოსი (ვილიარეალი, ესპანეთი)
ვან დერ მეიდე (აიაქსი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**

ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევო)
სერენა (კომო)
ვივასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)
კანიერა (ბორდო, საფრანგეთი)
პანდევი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)

## მილანი

**მოვიდნენ**

ალიუ (სიენა)
ბორიელო (ემპოლი)
კაფუ (რომა)
ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
პორკარი (პარმა)
რაბიტო (სამპდორია)
დი ზაურო (აველინო)
სარი (ანკონა)

**წავიდნენ**

ანტონინი (სამპდორია)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სამარკო (კიევო)
კუტუზოვი (კატანია)

## მოდენა

**მოვიდნენ**

ტალდო (კომო)
მოდესტო (კალიარი)

**წავიდნენ**

მორეტი (პარმა)
ძამბონი (ნაპოლი)
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
ფერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორეტი (პარმა)
კალია (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## პარმა

**მოვიდნენ**

ამაური (მესინა)
აპია (ბრეშა)
ბოლანო (სამპდორია)
დონადელი (მილანი)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მაჯო (ვიჩენცა)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ტარანა (ანკონა)
მორეტი (იუვენტუსი)
ბლაზი (იუვენტუსი)
მორფეო (ინტერი)
კარდონე (ვიჩენცა)
მორეტი (მოდენა)

**წავიდნენ**

ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
ე. ფილიპინი (ბრეშა)
რ. მასარო (კომო)
მატუზალემი (ბრეშა)
პიერინი (რეჯინა)
პორკარი (მილანი)
ბონაცოლი (რეჯინა)
რუოპოლო (ჩიტადელა)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
აპია (იუვენტუსი)
ლამუში (ინტერი)

## ლეჩე

**მოვიდნენ**

აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
კორალო (ტარანტო)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
სავინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)
ამელია (ლივორნო)

**წავიდნენ**

კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ნუცაჩი (ფ. ანდრია)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მ. როსი (პალერმო)
კორალო (კროტონე)
დე ტომა (ვიტერბეზე)

## რეჯინა

**მოვიდნენ**

დელ აკუა (ჩიტადელა)
ჰოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
პიერინი (პარმა)
ტედესკო (კოზენცა)
ძოპეტი (სალერნიტანა)

**წავიდნენ**

კარდინალე (სალერნიტანა)
დი მიკელე (უდინეზე)

## რომა

**მოვიდნენ**

დაკური (ლიდსი, ინგლისი)
ლანძარო (კოზენცა)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
პეპე (ტერამო)
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევო)
რანალი (კალიარი)
კივუ (აიაქსი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**

ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (კიევო)

## სამპდორია

**მოვიდნენ**

ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
მარაცინა (კიევო)
დონი (ატალანტა)
იაკოპინო (კატანია)
უობ-იიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
პოსანცინი (კატანია)
იანაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)

**წავიდნენ**

ბოლანო (პარმა)
კაზაცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გასპარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაბიტო (მილანი)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სიენა

**მოვიდნენ**

დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევო)
ვორია (აველინო)
დავერსა (ტერნანა)
არდიტო (ბოლონია)

**წავიდნენ**

აგოსტინი (ემპოლი)
ალიუ (მილანი)
ფორტინი (ტრევიზო)
კავალო (ჯენოა)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალცო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)

## უდინეზე

**მოვიდნენ**

ბედინი (კოზენცა)
დი მიკელე (რეჯინა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
მიკოლუჩი (პესკარა)
მუსლიმოვიჩი (ასკოლი)
ნალიცისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
სოზა (ხიმნასია, არგენტინა)

**წავიდნენ**

ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ლაციო

**მოვიდნენ**

ბარონიო (პერუჯა)
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)
დაბო (ატალანტა)
ოლა (აკილა)
ძაური (ატალანტა)

**წავიდნენ**

ბარონიო (კიევო)
კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (კომო)
მარკეჯანი (კიევო)

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

**დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი. XVI ტური | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 003 | მეტალურგი-ურალანი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 16.00 | 004 | ალანია-შინიკი | 2,6 | 2,6 | 2,6 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 16.00 | 005 | კრილია-ტორპედო | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 16.00 | 006 | ჩერნომორეცი-სპარტაკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 16.00 | 007 | როსტოვი-როტორი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 008 | სატურნი-დინამო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | შვედეთი. XIV ტური | | | | | | |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 011 | იორგრიტე-ლანდსკრონა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 012 | ოსტერი-ჰალმსტადი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 20.30 | 013 | სუნდსვალი-ენკიოპინგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | ფინეთი. XII ტური | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 18.30 | 017 | ჰაკა-ტეპერე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 20.30 | 018 | ჰამეენლინა-ჯაზი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 20.30 | 019 | ინტერი-მიუპა | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 20.30 | 020 | კტპ-იარო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 021 | ლაჰტი-ჰაკა | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | ავსტრია სუპერთასი | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 19.20 | 022 | აუსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | ოქროს თასი. ტურნირი აშშ-ში | | | | | | |
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 039 | კოსტა რიკა-კანადა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 03.30 | 040 | აშშ-სალვადორი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 041 | მექსიკა-ბრაზილია | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 042 | იამაიკა-კოლუმბია | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |

ინტერტოტოს თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 024 | გლორია(რუმინეთი)-ბრეშა(იტალია) | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 20.00 | 025 | პარტიზანი(ალბანეთი)-დაჩია(მოლდოვა) | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 026 | ოფკ(სერბია)-სინოტი(ჩეხეთი) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.00 | 027 | ციბალია(ხორვატია)-შახტიორი(ბელარუსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 028 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-კოპერი(სლოვენია) | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 21.00 | 029 | ბრნო(ჩეხეთი)-თუნი(შვეიცარია) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.00 | 030 | [illegible]-რასინგი(ესპანეთი) | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 22.00 | 031 | ვილი(შვეიცარია)-ტილბურგი(ჰოლანდია) | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 032 | ლიერსი(ბელგია)-სლობოდა(ბოსნია) | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 22.30 | 033 | პაშინგი(ავსტრია)-პობედა(მაკედონია) | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 034 | ვოლფსბურგი(გერმანია)-მარეკი(ბულგარეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.00 | 035 | ნიცა(საფრანგეთი)-იორგრიტე(შვედეთი) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 19.15 | 036 | შემროკ როვერსი(ირლანდია)-ლიბერეცი(ჩეხეთი) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.00 | 037 | სუტიესკა(სერბია)-ტამპერე(ფინეთი) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### interwetten.com
### ინტერვეტენი (ავსტრია)

ინტერტოტოს თასი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ივლისი | | | |
| გლორია — ბრეშა | 2,2 | 3,1 | 2,5 |
| ოფკ — სინოტი | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| ბრნო — თუნი | 1,8 | 3,2 | 3,3 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,5 | 4,2 |
| პარტიზანი — დაჩია | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,6 | 3,2 | 2,1 |
| ვილი — ტილბურგი | 2,1 | 3,2 | 2,6 |
| პაშინგი — პობედა | 1,6 | 3,3 | 4,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,3 | 4,4 | 6,0 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,45 | 3,6 | 4,8 |
| 13 ივლისი | | | |
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 2,9 | 3,2 | 1,9 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,7 | 3,3 | 3,6 |

### WETTBÜRO SCHWECHAT
Jeder kann gewinnen
### ვეტბიურო შვეხატი (ავსტრია)

ინტერტოტოს თასი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ივლისი | | | |
| ნიცა — იორგრიტე | 1,4 | 3,6 | 6,0 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,5 | 3,2 | 2,2 |
| ბრნო — თუნი | 1,7 | 3,3 | 3,7 |
| გლორია — ბრეშა | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 4,5 | 7,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,3 | 4,5 |
| ვილი — ტილბურგი | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| პაშინგი — პობედა | 1,65 | 3,3 | 3,9 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,4 | 3,6 | 6,0 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| 13 ივლისი | | | |
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 2,8 | 3,3 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,6 | 3,4 | 4,0 |

sportsbook infoworld p2p

## გეიმბუქერსი (ინგლისი -ავსტრია)

რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრილია — ტორპედო | 1,85 | 3,2 | 3,7 |
| სპარტაკ-ალანია — შინიკი | 2,48 | 3,1 | 2,5 |
| ტორპედო-მეტალურგი — ურალანი | 2,1 | 3,15 | 3,05 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,5 | 3,05 | 2,5 |
| როსტოვი — როტორი | 1,75 | 3,3 | 4,0 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სატურნი — დინამო | 2,15 | 3,15 | 2,95 |

ფინეთი. XII ტური

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,44 | 4,0 | 6,0 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — მიუპა | 3,0 | 3,2 | 2,15 |
| კტპ — იარო | 2,15 | 3,2 | 3,0 |
| ლაჰტი — ჰაკა | 4,0 | 3,3 | 1,8 |
| ჰაამენლინა — ჯაზი | 1,75 | 3,5 | 4,0 |

შვედეთი. XIV ტური

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,72 | 3,35 | 4,35 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,75 | 3,3 | 4,25 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

ინტერტოტოს თასი

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — სენტ ტრუიდენი | 2,47 | 3,1 | 2,52 |
| გლორია — ბრეშა | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,2 | 3,85 |
| პარტიზანი — დაჩია | 1,9 | 3,25 | 3,4 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,75 | 3,3 | 4,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,44 | 3,75 | 6,0 |
| ბრნო — თუნი | 1,8 | 3,25 | 3,75 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,85 | 3,2 | 2,15 |
| ვილი — ტილბურგი | 2,15 | 3,2 | 2,85 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,36 | 4,0 | 7,0 |
| პაშინგი — პობედა | 1,7 | 3,5 | 4,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,3 | 4,5 | 7,5 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,44 | 3,75 | 6,0 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,0 | 3,4 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| ალიანსი — აკრატიტოსი | 1,44 | 4,0 | 5,5 |

CORAL EUROBET

## ევრობეთი (დიდი ბრიტანეთი)

ინტერტოტოს თასი

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გლორია — ბრეშა | 2,3 | 3,0 | 2,8 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,25 | 3,85 |
| ბრნო — თუნი | 1,75 | 3,3 | 4,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,5 | 5,1 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| ვილი — ტილბურგი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,4 | 3,85 | 6,5 |
| პაშინგი — პობედა | 1,7 | 3,3 | 4,25 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,4 | 3,7 | 7,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 4,75 | 8,5 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,2 | 3,2 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,65 | 3,4 | 4,5 |

ავსტრია. სუპერთასი

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — კერნტენი | 1,4 | 3,85 | 7,0 |

ფინეთი. XII ტური

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,35 | 4,25 | 7,5 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაამენლინა — ჯაზი | 1,65 | 3,5 | 4,75 |
| ინტერი — მიუპა | 3,1 | 3,3 | 2,1 |
| კტპ — იარო | 2,3 | 3,25 | 2,75 |
| ლაჰტი — ჰაკა | 4,0 | 3,3 | 1,8 |

რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრილია სოვეტოვი — ტორპედო | 1,8 | 3,25 | 3,85 |
| ტორპედო-მეტალურგი — ურალანი | 2,0 | 3,1 | 3,3 |
| სპარტაკ-ალანია — შინიკი | 2,4 | 3,0 | 2,65 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,55 | 2,9 | 2,55 |
| როსტოვი — როტორი | 1,65 | 3,4 | 4,5 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სატურნი — დინამო | 2,1 | 3,1 | 3,1 |

შვედეთი. XIV ტური

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,7 | 3,4 | 4,5 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,9 | 3,3 | 3,65 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,3 | 3,3 | 2,0 |

William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

ავსტრია. სუპერთასი

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — კერნტენი | 1,36 | 3,75 | 8,0 |

შვედეთი

XIV ტური

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,72 | 3,25 | 4,2 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,66 | 3,3 | 4,5 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,4 | 3,25 | 1,9 |

ფინეთი

XII ტური

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,44 | 3,6 | 6,5 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაამენლინა — ჯაზი | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| ინტერი — მიუპა | 2,87 | 3,3 | 2,1 |
| კტპ — იარო | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| ლაჰტი — ჰაკა | 3,6 | 3,4 | 1,8 |

ინტერტოტოს თასი

12 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — სენტ ტრუიდენი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| გლორია — ბრეშა | 2,3 | 2,9 | 2,9 |
| ოფკ — სინოტი | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| ბრნო — თუნი | 1,66 | 3,5 | 4,2 |
| ციბალია — შახტიორი | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| პარტიზანი — დაჩია | 2,1 | 3,25 | 2,9 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,83 | 3,2 | 3,75 |
| დიორ ეტო — რასინგი | 3,0 | 3,2 | 2,1 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,36 | 4,2 | 6,5 |
| ვილი — ტილბურგი | 2,25 | 3,0 | 2,87 |
| პაშინგი — პობედა | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,36 | 4,0 | 7,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 5,0 | 8,0 |

13 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,4 | 3,25 | 1,9 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| ალიანსი — აკრატიტოსი | 1,44 | 3,75 | 6,0 |



*როცა „ორლანდო მეჯიქმა“ დრაფტზე 42-ე ნომრად ზაზა ფაჩულია აირჩია, ფლორიდულ გაზეთებს დიდი დაინტერესება არ გამოუჩენიათ ქართველი ცენტრის მიმართ. სტატიები ძირითადად რიის გეინისზე, ორლანდოელთა პირველ რაუნდში მე-15 ნომრად აყვანილ გამთამაშებელზე მოგვითხრობდა და მათში მხოლოდ დაფიქსირებული იყო, რომ ფლორიდულ კლუბს მეორე წრეში ფაჩულიაც ერგო. ზაზამ ორლანდოური კემპის ბოლო ორი შეხვედრა მაღალ დონეზე ითამაშა და წამყვანი ფლორიდული გაზეთის, „ორლანდო სენტინელის“ ყურადღებაც მიიპყრო. ამერიკელმა ჟურნალისტებმა ფაჩულია „მილუოკისთან“ მატჩის შემდეგ მოიხელთეს, რომელშიც ზაზამ 23 წუთში 15 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა*

# ზაზა ფაჩულია: კაცი მისიით

შერონ შელტონი
ORLANDO SENTINEL

ზაზა ფაჩულია იმედგაცრუებული იყო დრაფტის ღამეს...

„მან „მედისონ სკვერ გარდენში“ მითხრა, იცით, მწვრთნელო, მე ძალიან გაბრაზებული ვარ — „ორლანდოს“ მთავარი მწვრთნელის დოკ რივერსის ასისტენტი მარკ ჰიუზი ფაჩულიასთან პირველ საუბარს იხსენებს— ვკითხე, რად ხარ გაბრაზებული? მან კი მომიგო, ამდენი ხალხი აირჩიეს ჩემს წინ და იცით, უმეტესობა ვერაფრით ვერ მჯობს. ამიტომაც ვარ გაბრაზებული, მაგრამ მოვა დრო, მე დავამტკიცებ, რომ ბევრი კლუბი შეცდა“.

ფაჩულია ძალიან მძლავრად ათამაშდა, საზაფხულო ლიგის სამ მატჩში საშუალოდ 12 ქულა და 8,7 მოხსნა გააკეთა.

„დრაფტამდე ყველა ჩემს პირველ რაუნდში არჩევას მოელოდა — ამბობს ფაჩულია — მაგრამ გუნდები მეორე წრეზე წავიდნენ და მე კვლავ ასარჩევთა შორის ვიჯექი, ძალიან მეტკინა გული. დრაფტის შემდეგ ერთადერთი მიზანი დავისახე: ყველას დავანახვო, რომ პირველი რაუნდის დონის მოთამაშე ვარ.“

სხვა ტანმაღალი ტალანტების მსგავსად, 211-სანტიმეტრიან ფორვარდ-ცენტრ ფაჩულიას ბევრი რამ აქვს დასახვეწი ნბა-ს დონემდე მისაღწევად.

„მე ევროპაში ვთამაშობდი, ხოლო ევროპულ და ამერიკულ კალათბურთს შორის არცთუ პატარა განსხვავებაა. წესები, სათამაშო სტილი, სისწრაფე... მოკლედ, ყველაფერი. ამერიკულ კალათბურთს ახლა ვეგუები და კარგადაც გამომდის“ — იმედიანადაა ფაჩულია.

რივერსის ასისტენტი მარკ ჰიუზი ფიქრობს, რომ ფაჩულიას პრობლემები არ შეექმნება — „მონაცემები თუ კარგად გამოიყენა, ყველაფერი რიგზე ექნება. მას ეტყობა, რომ რაღაც ისეთს ფლობს, რაც ნაღდი კალათბურთის თამაშისთვისაა საჭირო. ასევეა მეორე ახალბედა კიტ ბოგანსიც. ისინი ორივენი მონდომებულნი არიან და სურთ, დაამტკიცონ, რომ ნბა-ში თამაშს იმსახურებენ.“

# ორლანდოში ქართველს ზურგსუკან აქებენ

*„ორლანდო სენტინელის“ ჟურნალისტებისგან თავი რომ დაიხსნა, ზაზა ფაჩულიამ თავის საცხოვრებელს მიაშურა და ტკბილად დაიძინა, დილით კი, როგორც თვალი გაახილა, ჩვენც დავურეკეთ...*



**— გილოცავ, ზაზა, „მილუოკისთანაც“ გამოიჩინე თავი...**

— ისეთი შედეგიანი არ ვიყავი, როგორც „დეტროიტთან“, მაგრამ მთლიანობაში წინა მატჩზე ცუდად არ მითამაშია. მსაჯებმა ტვინი წაიღეს, წამდაუწუმ აჩერებდნენ თამაშს, ოდნავი კონტაქტი და ჯარიმას უსტვენდნენ. მაღალი ტემპი რომ ყოფილიყო, უკეთ ვითამაშებდი, თუმც, მგონი, ესეც საკმარისი იყო.

**— აგერ, სტატიაც გამოჩნდა ორლადოურ „სენტინელში“, „მეჯიქის“ ერთ-ერთი მწვრთნელი, მარკ ჰიუზი მოზომილად გაქებს...**

— ჰიუზს ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე კი, დარწმუნებული ვარ, ჩემზე ბევრთან ილაპარაკებდა, მათ შორის ჟურნალისტებთანაც. კმაყოფილი ჩანს, მეორე წრეში არჩეულები — მე და ბოგანსი ჯერჯერობით ყველას ვჯობნით.

**— ჟურნალისტებმა სად მოგნახეს?**

— თამაშის შემდეგ შემომეხვივნენ, სამი-ოთხი იქნებოდა.

**— წინა მატჩის შემდეგ სად იყვნენ? „დეტროიტთან“ საუკეთესო იყავი...**

— რა ვიცი, ეტყობა, მაშინ იფიქრეს, გაუმართლაო. დრაფტის 42-ე ნომერი რომ ვარ, სერიოზულად არ მიყურებდნენ, მეორე მატჩიც რომ კარგად ვითამაშე, ყურადღების ცენტრში მოვექეცი.

**— მოხსნებში ერთიორად ჯობნი ყველას...**

— ამ სათამაშო მაჩვენებელს ამერიკელები დიდ ყურადღებას აქცევენ და მიხარია, სწორედ მოხსნებში რომ გამოვირჩევი. სხვებზე ნაკლებს არც ქულებს ვაგროვებ, მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიმდის. დღეს „მაიამის“ ვეთამაშებით, ვნახოთ, რა გამომივა...

ირაკლი პერტაია

# ჯაზი დაიშალა, ლეიკერსი გაიშალა

ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო და მოხდა 2003 წლის სეზონთაშორის პერიოდში. „იუტა ჯაზს“ 18-წლიანი ეროვულების შემდეგ გაეყარა კლუბის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე, მექულე და მომხსნელი კარლ მელოუნი.

„მე მას ყოველივე კარგი ვუსურვე“ — საგანგებო პრესკონფერენციაზე აშკარად ნაწყენი ჩანდა მელოუნის წასვლის ოფიციალურად გამომცხადებელი ლარი მილერი, „იუტა ჯაზის“ მეპატრონე. ბატონი მილერი, ვერც იქნებოდა კარგ ხასიათზე რადგან ჯერ ჯონ სტოქტონის და მერე კარლ მელოუნის დაკარგვის შემდეგ მისი გუნდი ერთბაშად დაკარგავს ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი იყო გასულ ორ ათეულ წელში, — პლეი ოფის საგზურს, მეტოქეთა პატივისცემას, მაყურებლებს...

მაგრამ მელოუნი ოდესღაც ხომ უნდა წასულიყო, ის 1985 წლიდან ემსახურებოდა „იუტას“ და 18 სეზონის განმავლობაში ცდილობდა ამ გუნდისთვის და საკუთარი თავისთვისაც საჩემპიონო ოქრო მოეპოვებინა, 1997 და 98 წლებში ჯონ სტოქტონთან და ჯეფ ჰორნაჩეკთან ერთად ეს თითქმის შეძლო, „ჯაზი“ ფინალში გაიყვანა, მაგრამ იქ ჯორდანი დახვდა და...

39 წლის მელოუნს კარიერაში ბევრი ტიტული და აღიარება შეხვდა, ორჯერ 1997 დ 99 წლებში სეზონის უძვირფასესი მოთამაშეც გახდა, მაგრამ მას მთავარი ტიტულის, ჩემპიონობის გარეშე კალათბურთიდან წასვლა არ სურს. ამიტომ ეძებს ძლიერ გუნდს, თუმცა რაღას ეძებს, უკვე იპოვა — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.

მელოუნის „ლეიკერსში“ გადასვლა უკვე გადაწყვეტილია. ის თავისუფალი აგენტია და სადაც სურს, იქ წავა. მას კი „ლეიკერსში“ სურს და ამ გუნდსაც ეს არ უნდა? მელოუნი იუტელებს ხელს რომ უქნევდა, სოლტ ლეიკ სიტიში სიატყვა დატოვა, თუ ახალ გუნდში პირველივე სეზონში გაჩემპიონდი, „ჯაზში“ დავბრუნდები და კარიერასაც აქ დავამთავრებო, მაგრამ მისი მაინცდამაინც ბევრმა არ დაიჯერა.

ის კი სავსებით შესაძლებელია, მელოუნი პირველივე სეზონში გაჩემპიონდეს. ექსიუტელს ახალ გუნდში თანამედროვეობის ორი უმძლავრესი მოთამაშე, კობი ბრაიანტი და შაკილ ონილი დახვდებიან. მელოუნი, შაკთან ერთად ლიგაში უძლიერეს წინა ხაზს შექმნის და „ლეიკერსი“ უძლეველი გახდება. მაგრამ მხოლოდ კარლ მელოუნი როდია ექსჩემპიონთა საამდლეებო შენაძენი. „ლეიკერსი“ წინა ხაზთან ერთად უკანასაც აძლიერებს და ამ რგოლში ნბაში საუკეთესო კობი ბრაიანტს მალე ერთ-ერთი საუკეთესოს გერი პეიტონსაც შეუწყვილებს და „ლეიკერსი“ გახდება „ოცნების გუნდი“, უფრო სწორად, „ოცნების“ კლუბი. როცა ოთხი ასეთი მოთამაშე ჰყავს, მწვრთნელ ფილ ჯექსონს შეუძლია, სასტარტო ხუთეულში მეხუთე კაცად ნებისმიერი ვიგინდარა დააყენოს, ვინმე „ლეიკერსის“ თავგადაკლული ქომაგი ჯეკ ნიკოლსონი ააყენოს 400-დოლარიანი ადგილიდან, ყვითელ-იისფერი მაისურა ჩააცვას და მოედანზე შეუშვას.

თუმცა კი „ლეიკერსის“ საოცნებო ახალწვეულებს გვარიანად შეუმცირდებათ შემოსავალი. მელოუნი „იუტაში“ ბოლო სეზონში 19,3 მილიონს იღებდა, „ლეიკერსში“ კი 1,5 მილიონს უნდა დასჯერდეს. გერი პეიტონსაც მილუოკური 12,6 მილიონი 4,9 მილიონამდე შეუმცირდება. ეს იმის გამო, რომ ლოსანჯელესური სუპერკლუბის სახელფასო ფონდის დიდი ნაწილი შაკის (26,5 მილიონი) და კობის (13,5 მილიონი) ჯიბეში მიდის. მაგრამ არც მელოუნი და არც პეიტონი კალიფორნიაში გასამდიდრებლად არ ჩასულან, ისედაც ასკდებათ ჯიბეები, ამიტომაც მზად არიან „კაპიკებზე“ იმუშაონ, ოღონდ კი ნბა-ს ჩემპიონები გახდნენ.

კოტე ყორშია

# LAKERS DREAM!



კობი



გერი



ჯეკი



კარლი



შაკი

*კამერუნი ზანგების, ტომების, ამ ტომთა ბელადების, რა თქმა უნდა, ფეხბურთის და „მოუთვინიერებელი ლომების“ ქვეყანაა. ამ ქვეყნის გაგონებაზე ამიერიდან მოედანზე დაღუპული მარკ ვივიენ ფოეც მოგვაგონდება. ჩამოთვლილთაგან ყველაფერი ახლობელია „სტუ-ჯეოსელის“ კამერუნელი ფორვარდისთვის ჟოლივეტ ტუჯანი ტაბასთვის ტომთა ბელადების გარდა. ის კამერუნის ყველაზე განვითარებულ ქალაქ დუალადანაა და ზიზილ-პიპილოებით მორთულ-მოკაზმულ თანამემამულეთა ურდოებისთვის თვალი არასდროს მოუკრავს. სამაგიეროდ, ბუნებაში გაქრილი მრავალი ლომი, სპილო თუ ჟირაფი უნახავს, ანტილოპის ხორციც უჭამია, თუმც იძახის, თქვენებურ მწვადთან რას მოვაო*



# საწყალი ფოე თბილისშიც დაიტირეს

## მწვადიჭამია კამერუნელი სამ ჭიქაში თვრება

*ტუჯანი ახლა თბილისშია და ფორმის შესანარჩუნებლად ვერის ბაღში ვარჯიშობს. ქართული კარიერის გაგრძელებას „ბასკოში“ აპირებს, თუმც არც სტუ-ში დარჩენას გამორიცხავს. მოკლედ, გაიცანით ტუჯანი ტაბა თავისი კამერუნით...*

**— რა გრჯის ამ სიცხეში, დახუთულ დარბაზში რომ იოფლები?**

— ფორმას ვინარჩუნებ, მინდა სეზონს მომზადებული შევხვდე.

**— ახლა თითქმის ყველა კალათბურთელი შვებულებაშია. შენ არ აპირებ სამშობლოში წასვლას?**

— არა, ამ ზაფხულს ვერ მოვახერხებ. კამერუნში, სავარაუდოდ, დეკემბერში წავალ.

**— რამდენი ხანია, კამერუნში არ ყოფილხარ?**

— ბოლოს შარშან ვიყავი, ახლობლები მოვინახულე, ნოსტალგია მოვიკალი და ისევ დავბრუნდი.

**— დიდიე დაჩუმი თუ ნახე, თბილისის „მაკაბიში“ ერთად რომ თამაშობდით?**

— როგორ არა, დაჩუმი ჩემი ძმადნაფიცია. ის ახლა საფრანგეთის მეორე დივიზიონის გუნდშია. არადა, აქედან „ვილერბანში“ სათამაშოდ წავიდა, მაგრამ არ გაუმართლა.

**— დაჩუმზე ამბობდნენ, კამერუნის სამოქალაქო ომებში იბრძოდაო...**

— ჭორია, კამერუნში ომობანა რომ მიდიოდა, დაჩუმი ბავშვი იყო.

**— შენზე კი ამბობენ, მძლეოსანი იყოო...**

— მძლეოსანი კი არა, მგონი, ყველა სპორტში ვცადე ბედი — ფეხბურთი, ფრენბურთი, სირბილი... სიმაღლეზე კი მხოლოდ ერთხელ ავხტი და ეგრევე 190 სანტიმეტრს გადავევლე. ბევრს მეხვეწა მწვრთნელი, დარჩიო, მაგრამ კალათბურთი ვამჯობინე.

**— ისე, აქაც რომ გეცადა მძლეოსნობაში ბედი, ეგებ მეტად გეხეირა. საქართველოს მოქალაქეობას მიიღებდი და საერთაშორისო ტურნირებში გამოხვიდოდი...**

— კი ვცადე ქართული პასპორტის აღება, მაგრამ არ მომცეს. ვერ ვიტყვი, საქართველოს მოქალაქე რომ გავმხდარიყავი, მძლეოსნობას დავიწყებდი და ოლიმპიურ ლიცენზიას მოვიპოვებდი-მეთქი, მაგრამ რომ მომენდომებინა, დიდი შანსია, ესეც მომეხერხებინა.

**— ფეხბურთსაც ვთამაშობდიო... ვინმე ცნობილ ვარსკვლავთან ხომ არ გაგიგორებია ბურთი?**

— ბურთი არ მიგორებია, მაგრამ ახლოს ვიყავი ახლახან გარდაცვლილ მარკ ვივიენ ფოესთან. პირველად მას კამერუნის ახალგაზრდულ თამაშებზე შევხვდი. ის ფეხბურთელთა ნაკრებში იყო, მე კალათბურთელთა გუნდში. ერთმანეთი ჩემმა ძმაკაცმა გაგვაცნო, რომელიც ფოეს მეგობარიც იყო. კარგი ურთიერთობა მქონდა მარკთან, მისი ტრაგედიის ამბავი რომ გავიგე, ვიტირე.

**— კამერუნის ყველაზე დიდ სპორტსმენად ვის მიიჩნევ?**

— მაგას კითხვა უნდა? როჟე მილას. ნამდვილი ლომია, ძეგლიც დაუდგეს იაუნდეში.

**— ლომზე გამახსენდა, ცოცხალი ცხოველთა მეფე თუ გინახავს?**

— ზოოპარკში?

**— ზოოპარკში ხომ ყველას უნახავს, ბუნებაში გეუბნები, კამერუნელი არა ხარ?!**

— კამერუნში რამდენიც გინდა, მეგონა, თბილისზე მეუბნებოდი. ჩვენთან უზარმაზარი ნაკრძალებია, სადაც ლომს კი არა, რას არ ნახავ... მანქანით მოძრაობ და ირგვლივ სპილოები, ჟირაფები, მარტორქები და აფთრები დარბიან.

**— ორი სიტყვით როგორ აღწერ შენს ქვეყანას?**

— კამერუნი ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე თავისუფლად ვგრძნობ თავს.

**— ბევრი ტომები გყავთ?**

— არა, კამერუნი საკმაოდ ცივილიზებული აფრიკული ქვეყანაა, ტომები თუ ცხოვრობენ, სადღაც, მიკარგულ ადგილებში. მე ისინი არასდროს მინახავს, ჩემი ქალაქი, დუალა, კამერუნის ეკონომიკური დედაქალაქია 3 მილიონი მაცხოვრებელით.

**— საქართველოში გადმოვინაცვლოთ. რა მოგწონს აქ ყველაზე მეტად?**

— ხალხი.

**— მეგობრები გეყოლება...**

— საკმარისად და ვერც ერთს გამოვარჩევ.

**— ქართველები რასისტები არ ვართ, მაგრამ შავკანიანებს ზოგიერთი სხვანაირი თვალით უყურებს. შენ თუ გიგრძვნია ასეთი რამ?**

— თავიდან ვამჩნევდი, რომ ზოგიერთს გულზე დიდად არ ეხატებოდა ჩემი ნახვა. შემდეგ კი, დრო რომ გავიდა და გამოჩნდა, მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, რეაქცია აღარ ჰქონდათ. ქართულ კალათბურთში შინაური კაცი ვარ, ქუჩაში კი ზოგიერთი ახლაც იბზუებს ცხვირს ჩემს დანახვაზე.

**— რაც აქ ხარ, თუ გიჩხუბია?**

— არა, გამოვედი მაგ ასაკიდან. მოედანზე კი მიკინკლავია, მაგრამ ბოლოს როდის ვიჩხუბე, არც მახსოვს.

**— საცოლე არ გყავს?**

— არა.

**— ქართველ ქალს თუ შეირთავდი?**

— მაგაზე ნაღდად არ მიფიქრია. ისე, თუ გამიგებს, რატომაც არ მოვიყვან.

**— მორწმუნე ხარ?**

— კი, ღმერთი ერთია კათოლიკესთვისაც, მართლმადიდებლისთვისაც, მუსულმანისთვისაც... მე არც ერთ მიმდინარეობას თუ სექტას არ მივდევ. უბრალოდ, მწამს ღმერთის და ეგაა.

**— ქართული სამზარეულოდან რომელი კერძი დააგემოვნე?**

— მწვადი. დაახლოებით ასეთი კერძი გვაქვს კამერუნელებს, ოღონდ ჩვენები ჯოხის შამფურებზე აგებენ ხორცს, თანაც მხოლოდ ანტილოპისას. ის კერძი თქვენებურ მწვადს ვერ შეედრება.

**— დასალევი?**

— ბევრს ვერ ვსვამ. სამი-ოთხი ჭიქა ღვინო და მთვრალი ვარ.

**— ბოლო კითხვაც: ესე იგი, მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნები. რომელ კლუბში გიხილავთ?**

— არ ვიცი, დღეს ყველაზე რეალურად „ბასკო“ ჩანს.

**ირაკლი ბერტაია**



# ტური დღეიდან იწყება

## პეტაკი იგებს, არმსტრონგი კი თავის დროს ელოდება

სანამ ტური მთებს არ მიადგებოდა, ველოსპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში სპრინტერები იყვნენ. ეს კი იმიტომ, რომ ვაკე-ტრასებზე სამთომრბოლები, რომლებიც მოთმინებით ელიან აღმართ-დაღმართიან გზებს, ჯერ ჩრდილში არიან მოქცეულები. ისინი თავიანთ დროს ელოდებიან. მათი დრო კი უკვე დადგა კიდეც. ლენს არმსტრონგი და მისთანები დღესვე შეუყვებიან უღელტეხილებს, რომლებიც ვინ იცის და ეგებ, წლევანდელი ტურ დე ფრანსის მომავალმა ჩემპიონმაც მოარჯულოს.

სტატისტიკით, ვინც სამთო რბოლებს იგებს, ბოლოს საერთო ჩათვლასაც ის ასრულებს პირველ ადგილზე. გამოდის, რომ ტური დღეიდან შედის ეშხში, როცა ლიონიდან მორზინემდე გასარბოლი 225 კილომეტრი მთებზე გაივლის.



REUTERS

ალესანდრო პეტაკის უკვე ოთხი მოგებული ეტაპი დაუგროვდა

ეს სადღეისო ამბავია. გუშინ კი ჩვეულად იჩაუქა იტალიელმა სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ, რომელმაც ნევერიდან ლიონამდე გაჭიმული 230 უსწორ-მასწორო კილომეტრი პირველმა დაფარა. პეტაკისთვის ეს იყო წლევანდელი ტურის მე-4 მოგებული ეტაპი, ჯიროს ჩათვლით კი წლეულს 16 მოგებული ეტაპი დაუგროვდა. ეს უნიკალური არა, მაგრამ ძალიან კარგი შედეგია. მიუხედავად ამისა, საერთო ჩათვლაში პეტაკი მესამე ათეულში ყურყუტებს, რაც პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. საერთო ჩათვლას კი ისევ US პოსტალელი კოლუმბიელი მრბოლი ვიქტორ ჰიუგო პენა ლიდერობს, რომელიც ზურგსუკან ერთბაშად რვა თანაგუნდელის სურთქვას გრძნობს. ერთი კია: თავად პენა აღიარებს, რომ მისი ლიდერობა სადაცაა დასრულდება, რადგან სამთო-რბოლების დაწყებისთანავე მისივე თანაგუნდელი, ტურის 4-ჯერ მომგები ლენს არმსტრონგი მას მალევე მოიტოვებს უკან. არმსტრონგს სხვა ძლიერი კონკურენტი გაუჩნდება.

ეს ყოჩაღი ბიჭი ესპანელი ბასკი იბან მაიოა. „ეუსკატელის“ ლიდერი თავის დროზე მთის ვუნდერკინდად ითვლებოდა, მაგრამ 20 წლისა საშინელ ავტოკატასტროფაში მოჰყვა და თავიდან ასაწყობი შეიქნა. მაიომ საშური ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და ველოსპორტს დაუბრუნდა.

შარშან მან რამდენიმე ნაკლებად პრესტიჟულ შეჯიბრებებზე აამუშავა გამთელებული ძვლები. წლეულს კი ფრანგული ტურისთვის მოსათელ შვეიცარიულ რბოლაში, მთებზე ცოცვაში თვით არმსტრონგი დაჩაგრა.

**ბაჩო სვანიძე**

**VI ეტაპი. 11 ივლისი**

**ნევერი — ლიონი 230 კმ**

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 5 სთ 8 წთ 35 წმ
2 ბადენ კუკი (ავსტრალია, FDJEAUX.COM)
3 ფაბრიციო გუიდი (იტალია, თიმ ბიანკი)
4 ტორ ჰუსოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)
5 რომან ვაინშტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) ყველა იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 ვიქტორ ჰიუგო პენა (კოლუმბია, US პოსტალი) 23 სთ 3 წთ 6 წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) + 1 წმ
3 ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, US პოსტალი) + 5 წმ
4 ჯორჯ ინკაპი (აშშ, US პოსტალი) + 5 წმ
5 ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, US პოსტალი) + 23 წმ



REUTERS

ფრანგული ტური ფრანგული ღვინით

# რას უნდა უყურო სხვას

## ფედერერი აბაზანიდან გამოვიდა

**შვეიცარიის ღია პირველობა**

გსტაადი.. თიხნარი

საპრიზო 550 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)** — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **რაინერ შუტლერი** (2, გერმანია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:3, 7:6 (8:6); **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) 6:4, 6:4; **რადეკ სტეპანეკი** (8, ჩეხეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 7:6 (7:5)

თუკი მარკ ლოპესთან საპირველწრეო მატჩში როჯერ ფედერერს ჯერ კიდევ ეტყობოდა, ორკვირიანი უიმბლდონური საჯანდრავი რომ გამოევლო, უსახელო ფრანგ ლინარს მან უკვე უყოყმანოდ გადაუარა.

თითქოს ლონდონიდან ალპებში, სიცხიდან სიგრილეში და ბალახიდან თიხნარზე კი არა, აბაზანიდან პირდაპირ მიროსლავას უბეში ჩაგორებულიყო...

მოკლედ — ეს 21 წლის ბაზელელი ბიჭი ახლა ზორბა ფორმაშია და 6-ათასიანი მოყიყინე მილეთის თვალწინ თავის მორიგ მეტოქეს სულ რაღაც 53 წუთში აჯობა.

ეს მისი ზედიზედ მე-14 გამარჯვება გახლდათ და წლეულს უკვე მე-6 ტიტულის მაძიებელი ამ სეზონში 9 მარცხის წილ საარაკოდ ბევრს, 52 მოგებას მოითვლის.

არადა, გსტაადში პირველ ოთხ ჩასვლაზე როჯერი ოთხჯერვე პირველ წრეში დაჩოქნეს, შარშან კი თუმც მეორეში გასვლა მოახერხა, იქ ჩეხ რადეკ სტეპანეკისგან გაილახა.

სტეპანეკმა მაშინ ნახევარფინალამდეც იომა, ახლა კი სანახევარფინალო საგზურს ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტს, ჩემპიონთა რბოლის მე-6-ადგილოსან რაინერ შუტლერს შეეცილება.

შუტლერი წლეულს საოცრად სტაბილურად თამაშობს. ერთი ეგ არის, ქეციანი ტიტულიც არ მოუნაგრავს და მელბურნული ფინალის გარდა მხოლოდ მაიამურ და სიდნეურ ნახევარფინალებს დაიკვეხს.

თავად ფედერერი კი ნახევარფინალში ესპანელ დავიდ სანჩესს უნდა ერკინოს. სანჩესმა, ვინაც წლეულს ვინა დელ მარის ტიტული მოიხვეჭა და ზანკტ პიოლტენის ნახევარფინალამდეც იჩოგნავა, ტურნირს მისი სამგზის (1998, 2000, 2002) ჩემპიონი, შებერებული ალექს კორეჩა გამოაკლო.

**SYNSAM SWEDISH OPEN**

ბასტადი. თიხნარი

საპრიზო 380 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**კარლოს მოია (1, ესპანეთი)** — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3, 6:4; **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 4:6, 6:2, 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:3, 6:0

შარშანდელმა ჩემპიონმა კარლოს მოიამ მეოთხედფინალისკენ გზა 18 წლის შვედის, რობინ სოდერლინგის ძლევით გაიკაფა. აბორიგენ ჭაბუკს ვერც ბასტადური პუბლიკის შმაგმა მხარდაჭერამ უშველა და ვერც ვერაფერმა, წასაგები საათსა და 14 წუთში წააგო.

ტურნირს მხოლოდ ერთადერთი შვედი, კარიერისას 31 საწყვილო ტიტულის მომგები 31 წლის იონას ბიორკმანი შერჩა. ბიორკმანი ბასტადში მეექვსედ გამოდის და უკანასკნელ რვეულს მხოლოდ პირველად უწია. იქ მას სწორედ მოიასთან შეხლა მოელის.

ესპანელს იოლი გასეირნება სულაც არ ელის. თუმცა შვედი უფრო თავის წყვილაობითაა ცნობილი, მაგრამ წლეულს კენტადაც რიგიანად ჩოგნაობს და ნოტინგემური ნახევარფინალი და მარსელური ფინალი იქით იყოს, ეს-ესაა უიმბლდონურ მეოთხედფინალამდეც იბუღრავა.

დღის დანარჩენ შეხვედრებში 21-წლიანებმა იმარჯვეს. ტომი რობრედომ მაროკოელ არაზის მოუგო და ზედიზედ მესამედ გავიდა მეოთხედფინალში, ფილიპო ვოლანდრიმ კი ფრანგი მუტი გააბითურა და მონტეკარლოური და რომაული მასტერსმეოთხედფინალების შემდეგ წლეულს მესამედ მოიპოვა რაგინდარა ნახევარფინალისთვის ბრძოლის უფლება.

**ლევან ძელაურაძე**



დავიდ სანჩესი



ალექს კორეჩა



## სამი ერი 2003

*დღეს სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი ზეტურნირი, სამი ერი იწყება. ეკვატორსდაბლელი კუნთმაგარი და ჩაუქი, სულ ნარჩევი ბიჭები ერთთვიან და ექვსმატჩა ეშხიან შეჯიბრში ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს გაუმართავენ. შეჯიბრი სამ ქვეყანას – ახალ ზელანდიას, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკას მოივლის.*



ახალზელანდიელი „შავები" და მათი მწვრთნელი ჯონ მიტჩელი ისევ ავსტრალიელთა ძლევის იმედზე არიან

# ახალი ზელანდია? ჰო, ალბათ

## დაბლა სართული შავებისაა, ერთი მაგათი მეზობელი თავს იკლავს

ტურნირს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, თუმც, სპეციალისტთა ვარაუდით, სხვებზე მეტი შანსი ახალ ზელანდიას აქვს. „ოლ ბლექსმა" შარშან აღიდგინა სამხრეთ ნახევარსფეროში საუკეთესოს სახელი მაშინ ლამის ყველაფრის ჩემპიონი ავსტრალია დაამარცხა. ახალ ზელანდიას სამი ერი ყველაზე მეტჯერ, 4-ჯერ აქვს მოგებული.

„ოლ ბლექსის" მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა საამტურნიროდ შემადგენლობა გვარიანად გადაახალისა. მიტჩელი, ცხადია, გუნდს შემოდგომაზე ავსტრალიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის ამზადებს და თუ სიტყვაზე ვენდობით, იქ ახალ „ოლ ბლექსს" ჩაიყვანს. ეტყობა, ასეც იქნება, რაკი სამი ერისთვის „შავების" საბრძოლო რაზმში ადგილი არ გამოინახა ძველი ოლბლექსელებისთვის ენდრიუ მერთენსის, ქრისტიან ქალენისა და ენტონ ოლივერისთვის. მერთენსი მისიანების უპირველესი მექულეა (930) და ყველაზე მეტი კეპი (66) აქვს მოხვეჭილი. ქალენი 46 ლელოთი „შავების" მთავარი მელელოვეა, ხოლო ოლივერი ბოლოხანს ახალი ზელანდიის შერკინებას ამაგრებდა და კაპიტანიც იყო. ოლივერის არყოფნაში „შავებს" რუბენ თორნი უყოჩებს. მიტჩელის გადაწყვეტილებამ ქალენი ისე გააბრაზა, რომ „ოკლენდის" მიტოვებით იმუქრება და სადაცაა, ალბათ, ირლანდიური „მანსტერის" კვართით შეიმოსება. აქ უკვე უალგილოა ჯონა ლომუს ხსენება, რომელიც დიალიზზე „ზის", მაგრამ ჯიუტად იმეორებს, მსოფლიოს თასზე მაინც ვითამაშებო.

ახლა კი მომავალ „შავებზეც" ვთქვათ. ჯონ მიტჩელი დიდ იმედებს ამყარებს პროვინციელ ბიჭებზე, ჯო როკოკოზე, მაა ნონუზე, დენიელ კარტერზე და კარლოს სპენსერზე. ესენი ამპლუით უკანახაზელები არიან და ძალიან იჩაუქეს წლევანდელ ზე-12-ზე. ამასთან, კარტერი და სპენსერი ფეხჩუბინებიც არიან და კარში დარტყმაც ფრიადზე ეხერხებათ. განსაკუთრებით სპენსერს, რომელიც მერთენსის ღირსეულ შემცვლელად მიიჩნევა.

თუ ვინმეს შესწევს ძალა, მომავლის „ოლ ბლექსი" შეაჩეროს, ეს უპირველეს ყოვლისა ავსტრალიაა. ოზების მწვრთნელმა ედი ჯონსმა ზელანდიელ კოლეგას მიჰბაძა და ძირითად 22 კაცში რამდენიმე ახალგაზრდა შეიყვანა. საამისოდ ჯონსმა „მსუბუქი რეპრესიები" გაატარა და ოზი ვარსკვლავები ნათან შარპი, ოუენ ფინეგანი, სტივენ ლარკემი და კრის ლატამი ოდენ მარქაფში გადაიყვანა.

აი, სამხრეთ აფრიკის საქმე კი მართლაც ცუდადაა. სამი ერის ბოლო ოთხი გათამაშების აუტსაიდერი წლეულსაც მაჩანჩალობისთვისაა განწირული. „ქურციკების" მწყემსმა რუდი სტრაულიმ საგაზაფხულო და საზაფხულო ტესტები ოპტიმალური შემადგენლობის ძებნას შეალია, მაგრამ, მისივე სიტყვებით, ეს მაინც ვერ მოახერხა: „ერთ მატჩში რომ გამიმართლებდნენ, მეორეში ისე ცუდად ითამაშებდნენ, თავის მოკვლა მინდოდა".

ერთი სიტყვით, 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა ჯერაც თავის თავს ეძებს, მაგრამ სანამ იპოვის, დიდი „ძმების", ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის იოლად დასალეჭი ლუკმა გახდება.

**ბაჩო სვანიძე**

**სამი ერი 2003**

12 ივლისი

**სამხ. აფრიკა — ავსტრალია**

19 ივლისი

**სამხ. აფრიკა — ახ. ზელანდია**

26 ივლისი

**ავსტრალია — ახ. ზელანდია**

2 აგვისტო

**ავსტრალია — სამხ. აფრიკა**

9 აგვისტო

**ახ. ზელანდია — სამხ. აფრიკა**

16 აგვისტო

**ახ. ზელანდია — ავსტრალია**

**სამი ერის ყველა ჩემპიონი**

| | |
|---|---|
| 1996 | ახალი ზელანდია |
| 1997 | ახალი ზელანდია |
| 1998 | სამხრეთ აფრიკა |
| 1999 | ახალი ზელანდია |
| 2000 | ავსტრალია |
| 2001 | ავსტრალია |
| 2002 | ახალი ზელანდია |

# კუჩმასთან ხმაურია, კრამნიკმა აურია



გარი კასპაროვს ერთი სული აქვს, ჩემპიონობა დაიბრუნოს

შემოდგომაზე ყირიმში დიდი ამბებია. თუ კვლავ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გარი კასპაროვისა და რუსლან პონომარიოვის ეგრეთ წოდებული „გამაერთიანებელი მატჩი“ წლეულს იალტაში 19 სექტემბერიდან გაიმართება.

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმაც თავგამოდებით მონაწილეობს ამ ისტორიული მატჩის ორგანიზებაში, ამ ოთხშაბათს მან ხელი მოაწერა განკარგულებას ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის გამოსავლენი მატჩის ჩატარების თაობაზე.

დოკუმენტში წერია: „გადაწყვეტილია, მხარი დავუჭიროთ ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის ინიციატივას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი რუს გარი კასპაროვსა და უკრაინელ ვლადიმერ კრამნიკს შორის გაიმართოს 2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კურორტ იალტაში.“

მატჩის რეგლამენტი სავარაუდოდ ასეთი იქნება: ჩატარდება 12 პარტია, თითო შვიდსაათიანი კონტროლით, 6:6 ანგარიშის შემთხვევაში დაინიშნება ტაი-ბრეიკი ოთხი მოკლე პარტიით, აქაც ყაიმის შემთხვევაში კი მოჭადრაკეები ბლიც-პარტიებს გაითამაშებენ.

ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, მოსალოდნელია, რეგლამენტის შეცვლაც.

ახლა კი მოკლე ისტორია ამ „გახლეჩილი მსოფლიოს გამაერთიანებელ მატჩზე“:

2002 წლის 6 მაისს პრაღაში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მსოფლიოს გახლეჩილმა საჭადრაკო სამყაროს ბობოლებმა კვლავ გაერთიანების სურვილი გამოთქვეს და ამისათვის გადაწყვიტეს, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენი მატჩი დაენიშნათ.

მოგეხსენებათ, იმ დროისთვის, და ჯერჯერობით ახლაც, მსოფლიოს ჩემპიონობას ორი მოჭადრაკე ჩემულობდა, რუსლან პონომარიოვი (ფიდეს ვერსიით) და ვლადიმერ კრამნიკი (კლასიკურ ჭადრაკში). გადაწყდა, რომ 2003 წლის მაისს-ივნისში ნახევარფინალურ მატჩებს ითამაშებდნენ კასპაროვ-პონომარიოვისა და ლეკო-კრამნიკის წყვილები, მათ შორის გამარჯვებულები კი ნოემბერ-დეკემბერში — ფინალს.

წლეულს თებერვალში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კასპაროვ-პონომარიოვის მატჩს ბუენოს-აირესი უმასპინძლებდა. არგენტინელები საპრიზო თანხად მილიონ დოლარს გამოდიოდნენ, თუმცა შემდეგ ამ ქვეყანაში პოლიტ-ეკონომიკური სიტუაცია აირია და მატჩის ჩატარების ადგილი და დრო რამდენიმე ხნით გაურკვეველი დარჩა. თუმცა შემდეგ საჭადრაკო მოხელეებმა საქმეში ლეონიდ კუჩმა ჩარიეს, დანარჩენი კი თქვენც იცით.

რაც შეეხება რუსი ვლადიმერ კრამნიკისა და უნგრელი პიტერ ლეკოს მატჩს, რომლის ჩატარების უფლებასაც კომპანია „EINSTEIN GROUP“ ფლობდა, საშველი არ დაადგა. მატჩის ჩატარების თაობაზე იყო რაღაც მოლაპარაკებები უნგრეთის ხელისუფლებასთან, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ამათმა შემყურე ფიდემ განაცხადა, თუ თქვენ არ ითამაშებთ, მსოფლიოს ჩემპიონს კასპაროვ-პონომარიოვს შორის გამარჯვებულიდან გამოვავლენთო. როგორც ჩანს, საქმეც აქეთკენ მიდის.

საინტერესოა, რომ თვითონ მოჭადრაკეები კრამნიკიცა და ლეკოც, დიდად არ არიან დაინტერესებულნი ამ მატჩის ჩატარებით, ზოგიერთი სააგენტო მიზეზად ფულს ასახელებს. ამის პარალელურად ასევე დადის ხმები, რომ რუსს თავისი მოპოვებული ტიტული არ ეთმობა. ვლადიმერ კრამნიკმა მსოფლიოს ჩემპიონობა კლასიკურ ჭადრაკში, მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონ გარი კასპაროვთან ძლევით მოიპოვა. მაგრამ მალე, „გამაერთიანებელი მატჩის“ ჩატარების შემდეგ, მსოფლიოს ერთი აბსოლუტური ჩემპიონი ეყოლება. კრამნიკი კი, ისე გამოდის, ცალკე გაირიყება.

**ლაშა გეგეჭკორი**



# აბრამოვიჩს ფორმულაც მოუნდა

**მეორე** კვირაა, ყველას პირზე აკერია ერთ-ერთი უმდიდრესი რუსი საქმოსნის, 36 წლის რომან აბრამოვიჩის სახელი. მიზეზი მისი სენსაციური შენაძენია — მილიარდერმა ოლიგარქმა, რომელმაც ზღაპრული ქონება ნავთობმოპოვების ბიზნესით დააგროვა, ინგლისური პრემიერლიგის წამყვანი საფეხბურთო გუნდი „ჩელსი“ იყიდა.

რაკი მადა ჭამაში მოდის, სულაც არაა გასაკვირი, რომ როგორც კი პრემიერლიგელი ბოსი ამას წინათ გერმანიაში, ნიურბურგის ავტოდრომზე რბოლისას გამოჩნდა, ხმა გავარდა, ახლა ფორმულა 1-საც დაადგა თვალიო.

მოკლე ხანში რუსეთის ორი უმსხვილესი ნავთობკომპანია — „სიბნეფტი“ და „იუკოსი“ გაერთიანებას აპირებს. შედეგად შეიქმნება მსოფლიოში სიდიდით მეოთხე კონცერნი, რომლის აქციათა უდიდესი ნაწილი სწორედ აბრამოვიჩის ხელში აღმოჩნდება და ალბათ უფრო თამამად გაიხედავს „სამეფო რბოლებისკენ.“ იქნებ მან მაინც მოაბას თავი რუსეთში საფორმულო ეტაპის ჩატარებას, რაზეც რა ხანია, უტვინოდ და უშედეგოდ ცოდვილობს მოსკოვის მთავრობა.

ცხადია, ეს პროექტი უზარმაზარი თანხა დაჯდება — ავტოდრომის ასაგებად სულ მცირე 100 მილიონი დოლარია საჭირო. მაგრამ ჩიტი ბდღვნად რომ ღირს, აბრამოვიჩზე უკეთ ვის მოეხსენება, „სიბ-იუკოსი“ ხომ თავისი „შავი ოქროს“ საქვეყნოდ რეკლამისთვის უკეთეს საშუალებას ვერსად ნახავს.





# ავსტრალია ტორპი ამერიკა ფელპსი ?





იან ტორპის სამეფოში მაიკლ ფელპსი შეიჭრა

13 ივლისს ბარსელონაში მსოფლიოს საწყლოსნო სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. მსოფლიოს რჩეული კაცი და ქალთევზები ოთხ ძირითად სახეობაში შეეჯიბრებიან თანასქესელებს — ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში და ღია წყალში ცურვაში. არის მეხუთე სახეობა — სინქრონული ცურვა, რასაც მხოლოდ ქალები მისდევენ.

პრიორიტეტული, ცხადია, ცურვა გახლავთ. გეთანხმებით, ცურვაში გაჯიბრება ცოტა ერთფეროვანი სანახაობაა, მაგრამ სამაგიეროდ, მასში საკმაოდაა სპორტული აზარტი. თანაც ცურვაში იმდენი დისციპლინაა და მედლების იმდენი კომპლექტი თამაშდება, რომ მოცურავე ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოქრო-ვერცხლის მოხვეჭვაში.

თანამედროვე „მცურავ“ მსოფლიოს ორი ვეშაპი ჰყავს — ამერიკის შეერთებული შტატები და ავსტრალია და ეს ორი ქვეყანა თავიანთი ზესწრაფი მოცურავეებით მედლების ძირითად ნაწილს მოწყვეტავენ. რომელ ქვეყანას მეტი ოქრო შეხვდება, ეს ახლა ერთობ ძნელი სათქმელია. ისე მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე 2001 წელს ფუკუოკაში (იაპონია) ავსტრალიამ 13 ოქრო მოიპოვა, აშშ-მ კი 9. 2002 წელში ამერიკელები უფრო მეტად ყოჩაღობდნენ.

ცხადია, ცურვა ინდივიდუალური სახეობაა, მაგრამ ორივე ნაკრებს მოეპოვება ლიდერი, რომლებზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. ავსტრალიელებს წინ უძღვის 20 წლის ბიჭი ტორპედო იან ტორპი, რომლის ლიდერობაც თუნდაც გამარჯვების და მოხვეჭილი ოქროების სიმრავლეში გამოიხატება. მაგალითად, ტორპმა ფუკუოკაში ოთხი ინდივიდუალური და ორიც გუნდური ოქრო მოიპოვა, ის რომ არა, ავსტრალია ვერ მოუგებდა აშშ-ს. ტორპი სადღეისოდაც მსოფლიოს უძლიერეს მოცურავედ ითვლება, მაგრამ მცოდნენი ამბობენ, ამდენ ოქროს ველარ მოიხვეჭსო. რაც მართალია, მართალია, ის კვლავაც უალტერნატივო ფავორიტია 200 და 400 მეტრ დისტანციებზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ამ დისციპლინებში მსოფლიოს რეკორდებსაც ფლობს, მაგრამ სავარაუდოდ მას ძალზე გაუჭირდება 100 მეტრის მოგება (თავისუფალი სტილით). ფუკუოკაში ის 100 მეტრზეც პირველი იყო, მაგრამ ბოლო შეჯიბრში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. საერთოდ ახლა ტორპედო ალბათ აღარ შეუტევს საეჭვო დისტანციებს და იმ სახეობებში დაიხარჯება, რაშიც ულაპარაკოდ პირველია, თანაც მას კარგა ხანია აღარ დაუმყარებია მსოფლიოს რეკორდი.

უკვე დაირხა ხმები, რომ ტორპედოს მობეზრდა ყველაფრის მოგება და მოტივაცია დაკარგა, მაგრამ ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი ბრაიან რატონი ცდილობს გაფანტოს ეს ხმები — „იანი ძალზე სერიოზულადაა განწყობილი, თანაც ის ფაქტი, რომ ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა, კიდევ უფრო მუხტავს მას.“

ტორპის მწვრთნელი ღირსეულ მეტოქეში 18 წლის ამერიკელ მაიკლ ფელპსს გულისხმობს, რომელიც ისევე ხმაურით არ შემოიჭრა საცურაო ბილიკებზე, მაგრამ თავის წილი დისციპლინები და მედლები უკვე მოიზომა. ტორპი თუ თავისუფალი სტილით საშუალო დისტანციების მეფეა, ფილიპსი 200 და 400 მეტრიან კომბინაციებშია ძლიერი.

ბარსელონაში საკმაოდ ძლიერი გუნდებით და მოცურავეებით ჩადიან იტალია და გერმანია. სერიოზული გუნდია ჰოლანდიაც, რომელსაც კაცებშიც და ქალებშიც ჰყავს ვარსკვლავი პიტერ ვან დენ ჰოგენბადი და ინგე დე ბრუინი — მეტსახელად „მადამ ბატერფლაი“. მართალია, მათ გადაიარეს კარიერის პიკი, მაგრამ ჯერ ისე არ მოხუცებულან, რომ ბარსელონაში მხოლოდ სამონაწილეოდ ჩავიდნენ.



REUTERS ულან ბატორიდან

# ხუიზე ჭენება

თერთმეტიდან ცამეტ ივლისამდე მონღოლები 1921 წლის რევოლუციის წლისთავს ზეიმობენ. ეს მათი კალენდრის უმწვერვალესი თარიღია და მის აღსანიშნავად კონცერტებისა და ბაზრობების გარდა ტრადიციული ჯომარდობებიც იმართება. ეს ოდნავ მოწყენილი, თუმც ძველებურად ჩაუქი მხედრები სატახტო ქალაქიდან 35 კილომეტრით დაშორებულ მთადაბა ხუი დოლონ ხუდაგში ასულან — ცოტაც და, უდაბნოს გადაკვეთს ჩინგიზთა მოდგმის გახელებელი ყიჟინა.



# ღჩინობილი

სან ანტონიო სპურზის ჩემპიონი და არგენტინის ეროვნული ნაკრების წევრი მანუ ჯინობილი, პირველი არგენტინელია, ვინაც ენბიეის მოგება შეძლო. პოდა, რა გასაკვირია, სამშობლოში ჩასულს სულ ტაშ-ფანდურითა და პარა-პარადითი რომ ხვდებიან... ფოტო ბუენოს აირესში, იქაურ კრწანისის რეზიდენციაშია გადაღებული. ჯინობილისთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტი ნესტორ კირხნერი ღადაობს.




REUTERS ბუენოს აირესიდან

# ნაწყლევს

ნაწყლევს ხმელზე გამოსული ეს ოთხი გოგო ემანდ ლესბოსელნი არ გეგონოთ — ამათ ეს-ესაა, ჰავანიდან ფლორიდულ კი უესტამდე გადებული 112 მილი ნავში ჩაკუზულებმა მხარმკლავთა ქნევით 25 საათსა და 44 წუთში დაფარეს. ასე სწრაფად ეს სახიფათო მარშრუტი აქამდე ქალთა არც ერთ ოთხეულს არ გადაეცურა. ამიტომაა, ერთმანეთს ასე გულმკერდიანად რომ ეხუტებიან.




REUTERS ჰავანიდან



REUTERS დურბანიდან

# ნიკის ავადმყოფობა

მოტოფრენისტები საგაისო მსოფლიო ტურისთვის საკვალიფიკაციო შეჯიბრებში მონაწილეობენ. ამ ჯერზე მათ სამხრეთაფრიკული დურბანი მასპინძლობს. ფოტოზე „ავადმყოფ ნიკსა“ ხედავთ, მის მიერ შესრულებულ ტრიუკს კი „არაფერი“ ჰქვია. ისე — ეს თუ არაფერია და ნიკი მართლა ავადმყოფი უნდა იყოს...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge